№ 2973
ხუთშაბათი,
5 იანვარი

ცნობის ფურცელი

№ 2973
ხუთშაბათი,
5 იანვარი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ნ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

„ცნობის ფურცლის" ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

სამწუხაროდ, 1905 წ. **რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო**, გაზეთი თავ-თავის დროზე არ მისდიოდათ და ზოგჯერ სრულიადაც არ გამოდიოდა. რედაქციას იმედი აქვს ხელისმომწერნი მიიღებენ მხედველობაში გაზეთის თავ-თავის დროზე ბეჭდვის ხელის შემშლელ მიზეზებს და არ დაგვემდურებიან. ამავე მიზეზებისა და აგრეთვე რკინის გზების გაფიცვის გამო „დონ-კიხოტისათვის" დაბარებული ქაღალდი დროზე არ მოსულა, ამისათვის პრემიის დაბეჭდვის გათავება დაგვიანდა. ჩვენ ვეცდებით რაც შეიძლება მალე გავათავოთ დაპირებულ პრემიის დაბეჭდვა და დავურიგოთ ხელის-მომწერთ.

1906 წელს „ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი **გადიდებული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით **ერთის წლით 6** მან.
ერთის თვით 50 კაპ.

საზღვარ-გარედ გაგზავნით **ერთის წლით 11** მან.
ერთის თვით 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა მხატვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი.

„ცნობის ფურცლის" წლიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი „ნაპერწკალი".

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели".

„ნაპერწკალი"

სალხუნჯო კარიკატურებიანი ჟურნალი

გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით, 4—8 გვერდი. კარიკატურები დაიბეჭდება **ფერადის წამლებით**. ჟურნალში გარდა მუდმივ თანამშრომლისა მხატვარ ოსკარ შმერლინგისა, თანამშრომლებად მოწვეულნი არიან და მიიღებენ მონაწილეობას მხატვრები—გრინევსკი და როტტერი.

ფასი ჟურნალისა წელიწადში 4 მან., თვეში 40 კაპ., ცალკე ნომერი 8 კაპ.

„ცნობის ფურცლის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ „ნაპერწკალი" გაეგზავნებათ ერთის მანეთის დამატებით, ე. ი. გაზეთის ხელის მომწერნი წლიურ ექვსი მანეთის მაგივრად შვიდ მანეთს გადიხდიან.

„ნაპერწკლის" წლიურ ხელის მომწერთ 3 მან. დამატებით გაეგზავნებათ გაზეთი „ცნობის ფურცელიც".

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სადგომში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Наперцкали".
რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**.

ჟურნალი „მოამბე"
1905 წლ. მე-IX, X, XI და XII №№-ბი.
უეჭველად გამოვა და დაურიგდება ხელისმომწერთ **იანვრისა** და **თებერვლის** განმავლობაში.

ა. პ. შულგინა-მესხი
გაკვეთილები საოპერო სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილები ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებისა. ვერის დაღმართი № 1 (თვ.)

დაიბეჭდა და იყიდება გ. ჩარკვიანის
1906 წ. ქართული
კედლის კალენდარი
ფასი 40 კაპ.
საწყობი: წერა-კითხვის მაღაზიაში, ტფილისი, სასახლის ქუჩა ბანკის ქარვასლაში. (3—2)

გამოვიდა და იყიდება ყველგან
კ. თავართქილაძის მიერ შედგენილი
კალენდრები
ვინც გამომცემლისაგან პირდაპირ დაიბარებს, დაეთმობა 30—40 პროცენტამდე
ადრესი Тифлисъ К. Таварткиладзе (4—2)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.
მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი
მ. ზ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.
ი. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.
პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
ზ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. პ. ქიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—40)

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვერენიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე, საღამოთი—6-დან—8 საათამდე. (30—6.—10)

ექიმი
მ. პ. ბეჟირგანოვი
სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7½ საათ. (თვ.—20)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 ჯან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50—368—41)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

მედიცინის დოქტორმა
გ. ი. ბურზენოვა,
შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროსპ., სახ. მდივნისა, № 12, საარტისტო საზოგადოების შენობის პირდაპირ. (თვ.—406—29)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 8—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 18. (წლ).

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

ტფილისი, 3 იანვარი.

რევოლიუციის ლოზუნგი. ისეთ მოძრაობის და რევოლიუციის დროს, როგორც ეხლა რუსეთში ხდება, ორივე მებრძოლი მხარე იმას ამბობს, რომ ისტორიის გაკვეთილით, წარსულის მაგალითით უნდა ვისარგებლოთო. მართლაც, ორივე მხარე სცდილობს ისარგებლოს ისტორიულის გაკვეთილით, მაგრამ თვით ეს სარგებლობა ისე არ ესმით, როგორც უნდა ესმოდეთ ჩვენის აზრით. მაგალითად ავიღოთ რუსეთი და ეხლანდელი მოძრაობა. არსად ისეთი იმედი არა ჰქონიათ ისტორიის მაგალითებისა, როგორც იქ. ბევრი იმასაც-კი ამბობს, რომ უნდა ევროპის მაგალითით ვისარგებლოთ და ბურჟუაზიულ წესებს მხარი როგორმე ავუქციოთ, ან თუ ეს შეუძლებელია, რაც შეიძლება შევასუსტოთ ბურჟუაზია და ერთბაშად გადავდგათ ფეხი უფლებრივ და სოციალისტურ სახელმწიფოსაკენაო. თქმა არ უნდა, ეხლანდელი მოძრაობა დასაწყისია, პროლოგია მომავალ სოციალურ რევოლიუციისა, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რამდენი ძალა და შეგნებაა ხალხში.

ამ მხრივ ხალხმა მართლაც ისარგებლა ისტორიის მაგალითით და თვით უკიდურესი პარტიებიც-კი სცდილობენ უმცირესი მოთხოვნანი წარმოაყენონ ამ ჟამად მოძრაობის ლოზუნგად. მოსკოვში, მაგალითად, რევოლიუციონერების ლოზუნგი იყო: საყოველთაო კენჭის ყრა და დამფუძნებელ კრების მოწვევა. არც პირველი და არც მეორე არ არის ისეთი რამ, რომ ძირიანად რყევდეს სახელმწიფოს. საყოველთაო კენჭის ყრა ევროპის ისეთ ჩამორჩენილ ქვეყნებშიც კი არსებობს, როგორიც გერმანიაა. დამფუძნებელი კრება კი სრულიად არ უნდა იყოს საშიში ისეთ სახელმწიფოში, რომელიც თავისუფლების გზას დაადგა და სადაც მართვა-გამგეობაში თვით ხალხი იღებს მონაწილეობას. გავიხსენოთ საფრანგეთის რევოლიუცია, როდესაც ყველა თავის სურვილის განხორციელებას ესწრაფებოდა და არავინ, გარდა მირაბოსი, არა ფიქრობდა იმაზე, თუ რანაირ ცვლილებებისათვის იყო მზად სახელმწიფო. როგორც ერთი უკიდურესი მხარე, სასახლის კამარილია, ისე მეორე, ხალხის მოთავეები, დაჟინებით თავისას გაიძახოდნენ. თუმცა, მართალია, პირველთ უფრო პირადი ინტერესები ალაპარაკებდა, მეორეს კი ხალხისა, მაგრამ იმ წრით, რომ იმათ ისტორიული მომენტი ვერ იცნეს, ორივე ერთ შეცდომაში შევიდა. ეხლაო, ამბობენ, ეს შეცდომა შეუძლებელიაო. რამოდენადმე ეს ასეა, მაგრამ რა გვასწავლა ამ გაკვეთილმა? განა ამ მიზეზით რუსეთის რევოლიუციამ სხვაზე ნაკლები სისხლის ღვრა მოახდინა? პირიქით, იშვიათი რევოლიუცია ყოფილა ისეთი, რომელსაც იმდენი სისხლის ღვრა მოჰყოლოდა, რამდენიც რუსეთში მოჰყვა. არსად შავ-რაზმელებს და ხულიგანებს ისეთი აკლება-დაწიოკება არ ჩაუდენიათ, როგორც რუსეთში მოახდინეს არც ერთი კუთხე არ დარჩენილა მთელ სახელმწიფოში ისეთი, რომ ათასობით უდანაშაულო ხალხი არ გაწყვეტილიყოს, არსად იმდენი ნორჩი არსება არ დახოცილა რევოლიუციის დროს, რამდენიც აქ დაიხოცა. თვით მხეციც-კი გაარჩევს ბრძოლის დროს ისეთ მტერს, რომელსაც მართლაც მტრობა შეუძლიან, ხოლო შავმა რაზმელებმა ესეც ვერ შეიგნეს. განა ბრძოლაა უსუსურ ბავშვების დახოცვა? გამოტყდეთ, რომ არ მოველოდით, თუ რუსეთში შესაძლებელი იყო ასეთი ატავისტური მოვლენა. მხეცის გაღვიძება კაცში. მეტადრე არ მოველოდით, თუ გამოჩნდებოდნენ ამ ამბების შეგნებული ორგანიზატორები.

საკვირველია როდესაც ისტორიის გაკვეთილით სარგებლობაზე ფიქრობენ, არ იგონებენ იმას, რომ საუკეთესო სარგებლობა ის იქნება, როგორმე ეს საშინელი გზა რევოლიუციისა ნაკლების სისხლის ღვრით გაიარონ. ერთი დიდის თანამდებობის პირი, როდესაც რუსეთში რევოლიუციონური მოძრაობა დაიწყო, ამბობდა თურმე, მე კარგად ვიცი საფრანგეთის რევოლიუცია და რუსეთს რევოლიუციამდის არ მივიყვან, რადგან თავის დროზე მოვსპობ მოძრაობასაო. ამ მხრივ კი ისარგებლეს ისტორიის გაკვეთილით, მაგრამ მეორეს მხრივ სრულიად დაივიწყეს ისტორია. ვისაც საფრანგეთის რევოლიუცია ახსოვს, ისიც უნდა ახსოვდეს, რომ როდესაც ისტორია ჰქმნის ახალ ხანას, ხალხს ვერავინ ვერას გზით ვერ გააჩერებს ძველ ქერქში. ყველა უნდა არჩევდეს გადამეტებულ მოთხოვნისაგან იმ მოთხოვნას, რომელიც მართლაც ისტორიულ მომენტს შეეფერება, და იმას წინ არ აღუდგეს, თუ მართლა სურს ისტორიის მაგალითით ისარგებლოს. ვისაც ხალხი უყვარს, ვისაც მისი ტანჯვა მართლაც მწუხარებაში აგდებს, იმას ესეც უნდა ახსოვდეს და უნდა სცდილობდეს ხალხს გაუადვილოს და არა გაუძნელოს მშობიარობა. ვისაც ჰგონია, რომ ამგვარი უაზრო სისხლის ღვრა აყენებს ისტორიას, დააშინებს ხალხს და შეაჩერებს იმის ხშირ ძარღვის ცემას, ის ნუღარ იტყვის, რომ ისტორიის მაგალითით ვსარგებლობო. ვისაც უნდა გვაჩვენოს, რომ კაცში მხეცი ჯერ არ მომკვდარა, და სცდილობს მხეცობით შეგვაშინოს, იმას ნუ დაავიწყდება, რომ თვითონაც ამ მხეცთანა აქვს საქმე და, თუ საშუალო საუკუნისებური ზნე ჩვენ დროშიც მოიპოვება, ამ გვარსავე ზნეს გამოიჩენს როგორც ერთი, ისე მეორე მხარე. ნუ მივიყვანთ აქამდის ნურც ერთს და ნურც მეორეს,—აი ნამდვილი სარგებლობა ისტორიის მაგალითით.

ამ მხრით კი, როგორც უკვე ვთქვით, გადამეტებული მოთხოვნა არ არის არც საყოველთაო კენჭის ყრა და არც დამფუძნებელ კრების მოწვევა, მით უმეტეს, რომ პირველი მოითხოვა თვით უკონსერვატორესმა პარტიამ, 17 ოქტომბრის კავშირმა ხოლო მეორე რუსეთის ბურჟუაზიის და მემამულეების წარმომადგენლებმა—ერობის და ქალაქის თვითმართველობის მოღვაწეებმა.

სუსტი მხარე რუსეთის რევოლიუციისა. გაზეთ „რუსის" შედარებით დღევანდელი განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმოადგენს დახლაკნილ ხაზს, რომელიც მალ-მალე ხან მაღლა იწევს, ხან დაბლა. განმათავისუფლებელი მოძრაობა მოკლებულია ერთიანობას და სწორხაზიანობას. მოძრაობის ამ გვარ ხასიათის მიზეზს გაზეთი სამართლიანად ხედავს არსებულ პარტიების შეუთანხმებელ მოქმედებებში. პარტიები თითქოს ერთ მიზნისთვის არა მუშაობდნენ, ისე იქცევიან. კარ-ჩაკეტილები, მაგრამ შემოზღუდულები ყოველივე მათგანი ცალ-ცალკე, ხშირად სხვის წინააღმდეგ, მოქმედებენ და ეს, რასაკვირველია, ცუდ გავლენას ახდენს განმათავისუფლებელ მოძრაობის სასურველ მსვლელობაზედ. დაქსაქსული ძალები, უძლურნი განცალკევებულად დაამარცხონ ძველი რეჟიმი, ხშირად ფუჭად იკარგებიან და ილევიან და თვისდა უნებურად შორს გადააქვთ უახლოესი მიზანი: დემოკრატიული წესწყობილების დამყარება რუსეთში. ვერც ერთი პარტია, თუმცა ბევრი ჩემობს ამას, ვერ გახდა ცენტრად, დედა-ნერვად, რომელსაც შეეძლო არსებული რევოლიუციონური და ოპოზიციონური ძალები შემოეკრიბნა თავის დროშის ქვეშ და უძლეველი ჯარი შეექმნა მთავრობასთან საბრძოლველად. თვით მთავრობამაც კი ნიშნი მიუგო უკიდურესს პარტიებს და სიამოვნებით აღნიშნა, რომ იგინი გულმოდგინედ ებრძვიან ერთი-ერთმანეთს და მზად არიან განმათავისუფლებელი მოძრაობის მტრებად დასახონ. მოქმედ პარტიების ჯიუტობამ რაიმე დაუთმონ თავისი პროგრამიდან გახადა რუსეთის რევოლიუცია იმ ძიძად, რომელსაც შვიდი ძიძა ჰყავს, შვიდ ძიძის ხელში კი, ცნობილია, ბავშვი უთვალებოდ რჩება.

ვინ გაბედავს და დაჰგმობს იმ თავგანწირულ მებრძოლთ, რომელთაც მოსკოვში, როსტოვში მსხვერპლად დასდეს თვისი ღონით სავსე, ნორჩი სიცოცხლე თავისუფლების საკურთხეველზედ. საუკუნოდ იქნება ხსენება მათი. შთამომავლობა მოწიწებით მოიხსენიებს გმირებს და თაყვანსა სცემს. მაგრამ სწორედ მათი გმირული სიკვდილი გვასწავის და გვითითებს იმ შეცდომაზედ, რომელმაც მსხვერპლი შეაწირვინა მრავალი და ნაყოფი არ გამოიტანა სათანადო წონისა. გამარჯვება მოსკოვში, გამარჯვება როსტოვში არ იქნებოდა რევოლიუციის გამარჯვება. რევოლიუციის ბედი გადასწყდება უმთავრესად იქ, სადაც ბრძანებლობს ორთავიანი არწივი. პროვინციებში გამარჯვებას უმეტესად ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს და არა პრაქტიკული. და აი ამიტომ აჯანყება მოსკოვში მაშინ, როდესაც სატახტო ქალაქი სდუმს, შეცდომაა. ეს შეცდომა არ მოხდებოდა, რომ მომქმედი პარტიები შეკავშირებულები, ერთ ხელმძღვანელის განკარგულების ქვეშ ყოფილიყვნენ. პარტიზანული ომი ეხლანდელ მთავრობასთან ხელსაყრელი არ არის. პარტიზანული ომი დიდი ხნობით აგრძელებს ბრძოლას და სასურველი შედეგი მოაქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც იმედი აქვს მებრძოლთა შეუჩერებელ მომდინარეობაზედ.

ხალხის უმეტეს ნაწილს არ შეუძლიან აიტანოს გამოურკვეველი რევოლიუციონური მდგომარეობა. უმეტესი ნაწილი მზათ არის ბრძოლისათვის მოკლე ხანს. ჟამთა მიმდინარეობასთან ნელდება რევოლიუციონური ცეცხლი და ძნელდება გადამწყვეტი ბრძოლა. იქნება სწორედ ამითი აიხსნება რუსეთის რევოლიუციის დახლაკნილება: ერთგან გრძნობა სჭარბობს გონიერებას, მეორეგან—გონიერება. ეხლა ერთია ცხადი: ბრძოლის მოგება შეუძლებელია განცალკევებული ძალით. რევოლიუციის საკეთილდღეოდ აუცილებლად საჭიროა შეერთება და ერთსულოვანი მოქმედება. დღევანდელი რევოლიუციის სუსტი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ პარტიებმა ნაადრევად გაატარეს კვალი, ნაადრევად დაადგნენ თავ-თავიანთ გზას, მაშინ როდესაც მტერი არჩეულ გზას თავს არ ანებებს და პირდაპირ მიდის.

რასაკვირველია, რომ უბრალო აზრი: ძალა—ერთობაშია. ცხოვრება არა ერთხელ წამოუყენებდა მებრძოლ პარტიებს. მაშ რამ შეუშალა ხელი იმის განხორციელებას, რატომ არ შეკავშირდნენ ძალები და ერთსულოვნად არ მიიტანეს იერიში დაწყევლილ რეჟიმზე? ჩვენ გვგონია, რომ ამის მიზეზი უკვე მომხდარი ნათელი დიფერენციაცია, დანაწილებაა საზოგადოებისა. კლასობრივი თვითცნობიერება განვითარე[illegible] უშლის შეერთებას მაშინაც, როდესაც ეს სასარგებლოა ყველა კლასისთვის განურჩევლად. ამიტომ დღევანდელ რევოლიუციას უფრო გონების დაღი ასვია, ვიდრე გრძნობისა. აკლია ის ღვთაებრივი ცეცხლი, რომელიც მთებსა სძრავს ადგილიდგან. საფრანგეთის დიდი რევოლიუცია იმითი იყო ძლიერი, რომ სულდგმულებდა აღფრთოვანებული გრძნობით, რომელიც ადამიანს ავიწყებს დროებით კლასსობრივ განსხვავებასაც, კერძოდ გაკვლეულ მიზანსაც და მთელ არსებას სჭვალავს ერთის საყოველთაო მისწრაფებით.

ასეთი ცხოველი გრძნობა აკლია დღეს რუსეთის რევოლიუციას, მაგრამ რევოლიუციონური ქარი, რომელიც ჰქრის დღეს რუსეთის სივრცეზე, შთაბერავს დიდ უმრავლესობას ცხოველ გრძნობას, აღაფრთოვანებს, გულს აუძგერებს და საბრძოლველად გამოიყვანს. ამითია დიდმნიშვნელოვანი განვლილი რევოლიუციონური გზა. დეე, დღეს რევოლიუცია დამარცხდა, მაგრამ დამარცხება აღმზდელია უფრო მედგარის, უფრო სასტიკის შურის ძიებისა, რომელიც უნდა აიღოს ხალხმა და აიღებს კიდეც.

მებრძოლ ძალთა ურთიერთობა*) მაშასადამე, ისტორიულს ასპარეზზე გამოვიდა ახალი ძალა, რომელმაც აიღო ხელში თვითმპყრობელობის დამხობის საქმე. ახლა პირდაპირ დადგნენ თვითმპყრობელი ბიუროკრატია და შეგნებული მუშა-ხალხი. ვისგან შესდგება ეს ახალი ელემენტი?

მესამოცე წლების რეფორმების შემდეგ, როგორც წინა წერილშიაც ვთქვით, რუსეთმა ფართოდ გაუღო კარი „ევროპას"; ძველი ეკონომიური წეს-წყობილება შეირყა და თანდათან გაუმაგრდა ფესვები კაპიტალისტურს წარმოებას; რუსეთი ჩაება საერთაშორისო აღებ-მიცემობის საქმეში და აღორძინდა ნამდვილი კაპიტალისტური მრეწველობა. ძველმა რუსეთის ქალაქმა სრულიად იცვალა ფერი და თუ უწინ უფრო დიდ დაბას წარმოადგენდა, ახლა ნამდვილ ევროპიულ ქალაქად გადაიქცა. სოფელი, ძველი რუსეთის პატრიარქალურ-ნაციონალურ წარმოების სოფელი, განახლების გზას დაადგა; დიფერენციაცია გაძლიერდა და მრავალი ხალხი ქალაქის ახალმა ცხოვრებამ მიიზიდა.

ცხოვრების ამ ახალმა ევოლიუციამ დიდათ გაამრავლა ქალაქის მუშათა კადრები და აი ესენი გახდნენ პირველად იმ შეგნებულ სახალხო მოძრაობის ელემენტად, რომელიც შეიქნა ახალ ისტორიულ ხანის მებრძოლ საზოგადოებრივ ძალად. პირველად მუშამ ყურადღება მიაქცია თავის ეკონომიურს მდგომარეობას. ეკონომიურმა პრობლემებმა შეიპყრეს იმისი და იმის იდეოლოგების სრული ყურადღება. მუშათა კლასსმა დაიწყო ბრძოლა კაპიტალთან თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ, როგორც წინად „ნაროდნიკებს" და რევოლიუციონერთა რაზმებს, ისე ახლაც მუშებს წინ გადაეღობა თვითმპყრობელი ბიუროკრატია. სუსტმა და უორგანიზაციო რუსეთის ბურჟუაზიამ ძლევა მოსილი მფარველი იშოვა და მუშათა მოთხოვნას მათრახი და შტიკი დაახვედრა. მაშინ მუშათა მოძრაობაც უპირატესად პოლიტიკური გახდა. „ძირს თვითმპყრობელობა"-ო, გაისმა პროლეტარიატის ძლიერი ხმა, ესე იგი, ახალმა მებრძოლმა ძალამ აღიარა წინანდელ სარევოლიუციო ძალების დევიზი—დამხობა ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობისა და დამყარება ხალხის დემოკრატიულ მართვა-გამგეობისა.

ქალაქის მუშის გვერდით თანდათან სდგება სოფლის გლეხობის შეგნებული ნაწილიც, თვითმპყრობელ ბიუროკრატიის ბატონობამ სრულიად გაანადგურა სოფელი. აუტანელმა გადასახადებმა, მიწა-წყლის სიმცირემ, სრულმა პოლიციურმა თვითნებობამ წელში გასწყვიტა სოფლის ხალხი. მე-90 წლებიდან დაწყებული რუსეთის სოფელს დღემდე ვერ მოუშორებია შიმშილი: ყოველ წელს 20—30 გუბერნია მაინც არის დამშეული. თვითმპყრობელ მთავრობამ სხვა და სხვა გზით სცადა ვითომ გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესება: ასამდე ნაირ-ნაირი კომისია გააჩინა, სოფლის შესახები კანონებიც გადასინჯა და შესცვალა, მაგრამ ამაოდ: საქმეს არაფერი ეშველა და [illegible] კვლავ სდგას დიდ აგრარულ რეფორმის მოხდენის საჭიროების წი-

---

*) [illegible]" № 2969.

ნაში. ხოლო სოფლის ხალხი თან და თან რწმუნდება, რომ ამ რეფორმას მთავრობა ვერ მოახდენს, რომ თავისი მდგომარეობა მან თავისავე ხელით უნდა გააუმჯობესოს. ამიტომ, წინანდელ მოთხოვნას —**მიწა** (ЗЕМЛЯ), რუსის გლეხობამ ახალიც მიუმატა—**თავისუფლება** (ВОЛЯ), და აგრარული მოძრაობა ზღაპრულის სისწრაფით იზრდება; ზოგან ჯერ იგი სტიქიურად, შეუგნებლად სწარმოებს, მაგრამ დღითი-დღე შეგნებულ ხასიათს იღებს და შორს აღარ არის ის დღეც, როცა სოფლის მუშა ხალხიც ქალაქის პროლეტარიატივით შეგნებულ მრისხანე ძალად გადაიქცევა და თანამედროვე წესწყობილების წინააღმდეგ დარაზმდება.

აღნიშნულმა ღრმა ეკონომიურმა ცვლილებამ უკანასკნელ 20—25 წლის განმავლობაში არ შესცვალა რუსეთის ინტელიგენციის ძირითადი ხასიათი და მიმართულება. იგი უმეტეს შემთხვევაში კლასს გარეშე ელემენტად დარჩა და, როგორც მე-60 და მე-70 წლებში, ისევ ხალხის ეკონომიურ და პოლიტიკურ განთავისუფლების საქმის სათავეში სდგას. ამიტომაცაა, რომ რუსეთში ბურჟუაზიას არა ჰყავს ისეთი ძლიერი გონებრივი იდეოლოგები, როგორიც დასავლეთ ევროპის ბურჟუასიას.

რაც შეეხება ამ კლასს (ბურჟუაზიას), იგი რუსეთში ვერ განვითარდა, ვერ გაძლიერდა თავის მოძმესავით დასავლეთ ევროპაში. ეს გარემოება ბევრ სხვადასხვა მიზეზით აიხსნება, ხოლო უმთავრესად იმით, რომ რუსეთი გვიან დაადგა კაპიტალისტურ განვითარების გზას. იმ ხანებში, როცა რუსეთი შეუდგა ახალ გზას, საერთაშორისო ბაზრის ბატონებად იყვნენ უკვე განვითარებული ქვეყნები, განსაკუთრებით ინგლისი, გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი. ახლად ფეხამდგარის რუსეთის მრეწველობისათვის ძნელი იყო მათთან კონკურენციის გაწევა და ამიტომ რუსეთის ბურჟუაზიას დასჭირდა მთავრობის ძლიერი დახმარება სხვა და სხვა ხელოვნურის საშუალებით. ამ გარემოებამ რუსეთის ბურჟუაზია თვითმპყრობელ ბიუროკრატიის მონად გახადა და, რასაკვირველია, იგი ვერ იკისრებდა და ვერც იკისრებს დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის პოლიტიკურს როლს, ესე იგი, აბსოლიუტიზმის დამხობას და იმის ნანგრევებზე უფლებრივ წესწყობილების დამყარებას.

ამნაირად, რუსეთის ისტორიულს ასპარეზზე ისევ ორ ისტორიულს ელემენტს ვხედავთ. როგორც უწინ (პეტრე დიდის დროიდან მე-XIX საუკუნის მეორის ნახევრამდე), ისე ეხლაც პირისპირ დგანან ერთის მხრით ყოველ უფლებით აღჭურვილი ბიუროკრატიული თვითმპყრობელობა და მეორეს მხრით უუფლებო ხალხი. მაგრამ ხალხი ახლა ის აღარ არის, რომელიც წინად იყო: მან შეიგნო და თან და თან უფრო და უფრო იგნებს, ვინ არის მისი მტერ-მოყვარე და რა გზით შეიძლება თავს უშველოს. ხალხის მოწინავე ელემენტმა უკლებლივ შეიგნო ეკონომიურ განთავისუფლების იდეალი და იცის, რომ ამისთვის პირველ ეტაპად უნდა გაიაროს პოლიტიკურ თავისუფლებისთვის ბრძოლის ხანა.

და ეს დიადი ბრძოლა დაიწყო კიდეც. იგი ძნელია, მეტად ძნელი, რადგან მშრომელი ხალხი და ინტელიგენცია განმარტოებით სდგანან, რადგან ერის სხვა ნაწილებს ძალა არა აქვთ და არც პოლიტიკური მნიშვნელობა. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ დიადი ბრძოლა დიადის გამარჯვებითვე გათავდება; ხალხის შეგნებულს მოძრაობას წინ ვერაფერი გადაეღობება. თოფ-ზარბაზნით და არესტებით იდეის მოკვლა და გაქრობა არ შეიძლება და ხალხი, დღეს იქნება თუ ხვალ, თავისას უთუოდ გაიტანს. ეს ისტორიული კანონია, რომელიც რუსეთისთვისაც შეურყეველ აუცილებლობად რჩება.

მებრძოლ ძალთა ურთიერთობა, რომელიც დავახასიათეთ ორს ჩვენს წერილში, ახასიათებს მომავალს გამარჯვებასაც. რა კი თავად-აზნაურობა და ბურჟუაზია სუსტია, რაკი შუათანა კლასები არ შეადგენენ პოლიტიკურს ძალას, ცხადია, თვითპყრობელ ბიუროკრატიის ნანგრევებზე დემოკრატიული შენობა აიგება. რუსეთში ბურჟუაზია, ისე, როგორც რუსეთის რევოლიუციაში ჟირონდა, საფრანგეთის ბურჟუაზიისა და ჟირონდის როლს ვერ ითამაშებენ; ხალხის გამარჯვებით ბურჟუაზია ისე ვერ ისარგებლებს, როგორც დასავლეთ ევროპაში და მომავალი პოლიტიკური წესწყობილება რუსეთისა ნამდვილს დემოკრატიულს საფუძველზე აშენდება. ამასთანავე ეკონომიური რეფორმებიც ძლიერი იქნება და მოასწავებენ საკმაოდ დიდის ნაბიჯის გადადგმას სოციალიზმისაკენ. სახელდობრ, ქალაქის მუშა ხალხი დააკანონებს 8 საათის სამუშაო დღეს და ამით შეარყევს, შეასუსტებს კაპიტალისტურს ბატონობას ქალაქში, ხოლო სოფლის მუშა-ხალხი აგრარულ რეფორმას მოახდენს ისე, რომ ახლავე შეარყიოს, მიწაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტის შერყევით, მიწათმფლობელთა ბატონობა.

ამნაირად, მებრძოლ ძალთა დღევანდელი ურთიერთობა გვეუბნება, რომ: 1) მოახლოვდა რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური განახლება, 2) ამ განახლებას მოახდენს დემოკრატია და 3) ამიტომ ეს განახლება უფრო რადიკალურ-დემოკრატიული იქნება, ვიდრე დასავლეთ სახელმწიფოთა რევოლიუციებმა მოახდინეს.

რევოლიუცია მოსკოვში

(დასასრული *)

11 დეკემბერს ზარბაზნებით ბევრი უდანაშაულო ხალხი დაიხოცა. ერთ 16 წლის ბავშვს ფეხი სულ დამსხვრეული უნახეს. ეს ბავშვი მცირე ხნის შემდეგ გარდაიცვალა. ერთ შემთხვევით გამვლელს ზარბაზნის ყუმბარამ თავი მოაგდებინა. ამ დღეს დაჭრილ-დახოცილთა შორის არის ბევრი მათხოვარი, ქალი და მრავალი სხვა უიარაღო ხალხი. პეტროვის ყაზარმებთან ჟანდარმებმა სროლა დაუწყეს სასანიტარო რაზმს, რომელშიც მოწყალების დებიც იყვნენ. ერთი 14 წლის ბავშვი ჟანდარმმა დაჰხვრიტა რევოლვერით. ბავშვმა თურმე ყაზარმების გვერდით გაიარა და რაღაც უთხრა ჟანდარმებს. ერთი ჟანდარმი გამოეკიდა, ბავშვი საავადმყოფოს კარებში დაიმალა, ჟანდარმმა იპოვნა და დახვრიტა.

ექიმები და სანიტარები საავადმყოფოდან გარედ ვერ გამოდიოდნენ. ჟანდარმები და დრაგუნები საშინლად გაბრაზებულნი იყვნენ. ერთი კაცი დრაგუნის პატრულის დანახვაზე უმიზეზოდ შეშინებულიყო და დასამალავად გაქცეულიყო. ერთი დრაგუნი ცხენიდან ჩამოხტა, იპოვნა დამალული და ხიშტით დახვრიტა. ამის შემდეგ პატრულმა ასტეხა თოფის სროლა. ესროდნენ კოროვინის სახლს, რომელშიც დაჭრილა ერთის გენერლის ცოლი, გვარად შეველიოვისა. ამავ დღეს „ნევლინნი პროეზდ“-თან დაუქცევიათ დიდი სახლი შუგაევისა, რომელშიც მოვაჭრე თათრები იდგნენ. სროლის მიზეზად იმას ამბობენ, რომ ვითომ ამ სახლიდან ვიღაცებს ბრძოლა დაეწყოთ. ამ სახლში დახოცილთ გარდა დაჭრილია 30 კაცი.

როგორც ვთქვით, ამ დღეს საღამოს ყველა ბარიკადები უკვე დაანგრიეს, მაგრამ ღამე ხელახლად ააშენეს. არა თუ ღამე 11 დეკემბრისა, დღისითაც ბრძოლის ქარცეცხლში შენდებოდა დანგრეულ ბარრიკადის ალაგას ახალი. განცვიფრებაში მოჰყავდა ყველა ის უშიშრობა, რომელსაც იჩენდნენ ბარიკადების ამშენებელნი. ხმა გავრცელდა, რომ ბარრიკადების აშენებას იმიტომ აჩქარებენ, რომ ჯარის მოქმედება რამოდენადმე უნდა შევაჩეროთ ახალ რევოლიუციონურ ჯარის მოსვლამდისაო. ამ რევოლიუციონერებს ვითომ ელოდნენ ორეხოვ-ზუევოდან, სადაც 30,000 მუშა აჯანყებულა, და ბალტიის მხრიდან, საიდანაც ვითომ რევოლიუციონერებისათვის გამოეგზავნათ არტილერია და ტყვიის-მტყორცნელები. ყველაზე ძლიერი შეტაკება ამ დღეს ნიკოლაევის რკინის გზის სადგურთან მომხდარა. რევოლიუციონერებს განუზრახავთ ორის მხრიდან დაცემა ამ სადგურზე, მაგრამ დიდის ზარალით უკან დაუხევიათ, რადგან ვერ აუტანიათ ზარბაზნების და ტყვიის-მტყორცნელების ძალა. ეს კია, რომ ამ დამარცხებას ერთ წუთსაც არ შეუფერხებია პარტიზანული ომი. რევოლიუციონერებმა სწორედ ნადირობა გამართეს ჯარზედ. საღამოთი ჯარი დიდის გაჭირვებით მიდი-მოდიოდა ქალაქში, რადგან ბარრიკადებით ქალაქის მეტი და მეტი ნაწილი იფინებოდა. ამავ ღამეს, როდესაც ბარრიკადები ააშენეს, რაზმების მეორე ნაწილი საპოლიციო ნაწილებს ეცემოდა და ზოგს დიდი ზარალი მიაყენა.

11-სავე საღამოთი გამოცხადდა, რომ სოციალდემოკრატიის პარტიის კომიტეტმა, რაღაც მიზეზით, უარი განაცხადა აჯანყების ხელმძღვანელობაზედ და ეს როლი იკისრა სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის კომიტეტმა. 11 დეკემბრის ღამეს დრაგუნები გარს შემორტყმიან სიტინის ტიპო-ლიტოგრაფიას, სადაც ვითომ ჩასაფრებულიყო მებრძოლი რაზმი და სროლა დაეწყოთ. ამ სახლში მცხოვრებთა სიტყვით კი იქ არავითარი რაზმი არა ყოფილა და არც არავის თოფი გაუსროლია იქიდან. მართლაც შემდეგა ამ სახლში არც ერთი რაზმელი არ უპოვნიათ. სახლს მალე ცეცხლი წაეკიდა და ამას ყველა დრაგუნებს აბრალებდა. დაიწვა და განადგურდა მრავალი მასალა. ძირის სართული, სადაც სხვა და სხვა მანქანები იყო, გადარჩა. მაგრამ ზემო სართული დაინგრა და შეიძლება ქვემო სართულის ჭერი სიმძიმით ჩამოწვეს და სულ ერთიან გააფუჭოს ეს მანქანები. ჯერჯერობით ზარალი ამ სახლში ერთ მილიონს აღემატება.

12 დეკემბერს დილით ბრძოლა ცოტა შეჩერდა. ქალაქის შუა გულში სიწყნარე იყო. მაგრამ ზარბაზნების გრიალი ხალხს აუწყებდა, რომ ბრძოლა არ შეწყვეტილა და მხოლოდ ქალაქის ნაპირებში გადასულა.

ჯარმა ალყა შემოარტყა პროხოროვის მანუფაქტურას, სადაც მებრძოლი რაზმი იყო ჩასაფრებული და დიდი წინააღმდეგობა გაუწია ჯარს. ბევრი დაშავდა ორივე მხრიდან. ზარბაზნების ყუმბარებისაგან მომხმარებელ დუქანს ცეცხლი წაეკიდა. მდინარე მოსკოვსთანაც დიდი ბრძოლა ყოფილა ამ დროს. ზარბაზნები უსროლიათ იმ სახლისთვის, სადაც „ვეჩებ. ფოშტ“-ს რედაქცია იყო, მაგრამ, სახლის პატრონის თხოვნით, თავი დაუნებებიათ და სახლი გადარჩენილა. სროლა იყო აგრეთვე მოსკოვ-ყაზანის რკინის გზის სადგურზე, გადააგდეს რამდენიმე ყუმბარა, რომელიც მოხვდა ერთ სართულიან ფიცრის სახლს. ამ სახლს ყუმბარებისაგან ცეცხლი წაეკიდა და დაიწვა მომხმარებელი დუქანი, რომელიც ამ შენობაში იყო მოთავსებული. ცეცხლის მქრობელი რაზმი არ მოუშვეს ჩასაქრობად. ამის შემდეგ ჯარმა სროლა აუტეხა იმავ რიგზე სხვა სახლებს, საიდანაც მცხოვრებნი თავის დროზე გაქცეულიყვნენ. ამ მოედანზე სროლამ საღამოს ხუთ საათამდე გასტანა. ქალაქის შუა გულში რამდენიმე ალაგას ვაჭრებმა მაღაზიები გააღეს. ქუჩებში ჩხრეკა დაიწყეს გამვლელ-გამომვლელებისა. კრემლში და კიტი-გოროდში არავის უშვებდნენ. 4 საათზე ქალაქი ბნელში გაეხვია, რადგანაც მუშათა დეპუტატების საბჭოს აუკრძალავს ქალაქის განათება. მთელი დღე ქუჩებზე კარეტები და ეტლები დადიოდნენ და მოჰყავდათ დაჭრილები, მიჰქონდათ მოკლულთა გვამები. ექიმებმა შეადგინეს სასანიტარო რაზმები და შველოდნენ დაჭრილებს. ჯარი დაიღალა და იქამდის გაბრაზდა, რომ აღარავის ინდობდა და არც არჩევდა. სასანიტარო რაზმებსაც-კი ესროდნენ. როგორც ამ ბოლო დროს გამოირკვა, ჯარი საავადმყოფოებსაც-კი არ ინდობდა. როგორც ერთი ფერშალი ქალი სწერს, თურმე ჯარმა დაუშინა იმ ლაზარეთს, რომელშიაც იაპონიის ომში დაჭრილი ჯარის კაცები იწვნენ. შესაზარ სურათს აღგვიწერს ეს ფერშალი ქალი. თურმე ლაზარეთის ახლო, სროლა რომ ასტყდა, ჯარს კაცი გაუგზავნეს და აუწყეს, ვისი ლაზარეთი იყო ეს ლაზარეთი და სთხოვეს ამ სახლისთვის არ ესროლათ. ჯარს ყურადღება არ მიუქცევია ამისთვის და შიგ ლაზარეთის კარებში ერთი ბავშვი მოუკლავთ. გამოსულა ფერშალი ქალი ბავშვის საშველად, დარაჯს სროლა აუტეხნია. დაჭრილები საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნენ. იაპონიის ომში მიღებულ ჭრილობებისაგან დასუსტებულნი ადგილიდან ვერ იძროდნენ. ვინც შესძლო, ფოფხვით გავიდა იქით ოთახში; ბევრიც დაჰქრა ხელმეორედ. „რისთვის, რისთვის?“ ამბობდა ერთი მომაკვდავი. —ომში დამჭრეს, ხალხს შევწირე თავი; იქ მტერმა დამჭრა და აქ ძმა მკლავსო“. 12-სავე დეკემბერს გენერალ გუბერნატორს გამოუცია განცხადება, რომელშიაც სახლის პატრონებს უბრძანებს, რომ კარები მუდამ დაკეტილი იქონიონ, არ შეუშვან სახლში უცხო არავინ და არ შეინახონ არავითარი იარაღი და ასაფეთქებელი მასალა. ყველა ამაზე სახლის პატრონებს პასუხის გებაში მიცემას უქადის. ამ განცხადებამ იმოქმედა იმ სახლის პატრონებზე, რომელთა სახლების ალაყაფის კარებებიც ბარრიკადების გასამართავად წაიღეს, და ამათ მიჰყვეს ხელი ბარრიკადების დაშლას. ამავე დღეს შესდგა თავისუფალი მილიცია „რუს ხალხთა კავშირისა“, რომელთაც პოლიციელი აფიცრები წინამძღოლობდნენ. საღამოთი ხმა გავრცელდა, რომ სადგურ პეროვოდან მოვიდა მატარებელი რამდენიმე ას მებრძოლ რაზმის წევრით. ამათ დახვდათ 2000 კაცი, რომელთა რიცხვშიაც რამდენიმე ასი შეიარაღებული კაცი იყო. აქ გადასწყვიტეს ერთხელ კიდევ ეცადათ ნიკოლაევის სადგურის აღება და დაუწყეს იქ მდგომ ჯარს სროლა. ჯარმა ზარბაზნები დასცალა. ამ დღეს ყაზანის გზა რევოლიუციონერების ხელში იყო.

13 დეკემბერს ქუჩაში გამოჩნდნენ პოლიციელები, რევოლვერების მაგივრად, ბერდანკებით და ხიშტებით შეიარაღებულნი. დილით ამ დღესაც ცოტა ხანს სიწყნარე ყოფილა, მაგრამ მერე ისევ სროლა ატეხილა. ჯარს ზარბაზნები გაუტანია ტვერის ქუჩაზე, სადაც რევოლიუციონერებს საფრებიდან სროლა დაუწყიათ იმ სამხედრო რაზმებისათვის, რომელსაც ჯარის სურსათი მიჰქონდა. სადოვის ქუჩაზედაც გაცხარებული ბრძოლა ყოფილა. აქ ქუჩის მოსახვევებიდან ისროდნენ და არტილერია-კი ანადგურებდა ბარრიკადებს და ჰფანტავდა ბრბოს. ასეთივე ამბავი იყო არბატსა და ბრონნის ქუჩებზე. აქ ჯარი სახლებსაც ესროდა. ამ დღეს ბრძოლის ტაქტიკა ცოტა შეუცვლიათ რევოლიუციონერებს. ბრძოლის ხელმძღვანელებმა გამოსცეს განცხადებები, რომელშიც მებრძოლთ ურჩევდნენ, ბარრიკადების დაცვისათვის თავი მიენებებინათ და დაეჭირათ მახლობელი სახლები და ეზოები და იქიდან ესროლათ ჯარისთვის, აფიცრებისთვის, დრაგუნებისა და ყაზახებისათვის. მართლაც ამ დღეს მეტად გახშირდა პოლიციელებისა და აფიცრების ხოცვა. დაშავებულა ამ დღეს სულ 50 პოლიციელი. ამათგან 15 მოკლულია. აფიცრებს აგრე რიგად არა ხოცავდნენ, მხოლოდ იარაღს ართმევდნენ. საქმე იქამდის მივიდა, რომ პოლიციელები თავის ფორმით აღარ გამოდიოდნენ და სტატსკურ ტანისამოსს იცვამდნენ, ან რამდენიმე ერთად გამოდიოდა ბერდანის თოფებით და ხიშტებით შეიარაღებული. ჟანდარმებიც თავის მხრივ ხალხს სასტიკად ექცეოდნენ. ისინიც ბევრ უდანაშაულოს ჰხოცავდნენ. მაგალითად, 13 დეკემბერს ერთ სანიტარს ეტლით დაჭრილი მიჰყავდა. ეტლს ქუჩის მისახვევზე წინ დახვდა ჟანდარმი, სალდათი და ერთი სამოქალაქო პალტოში გამოწყობილი კაცი. სანიტარის გაჩხრეკის დროს აღმოუჩენიათ პალტოს ქვეშ სტუდენტის ტანთსაცმელი. ეს საკმარისი იყო, რომ სანიტარი იქვე დაეხვრიტათ. მეეტლემ დაჭრილი საავადმყოფოში მიიყვანა. მოკლულის გვამი-კი იქიდან გამოგზავნილმა კაცმა წაიღო. ჯიბეები მოკლულს გადმობრუნებული ჰქონდა. ამავ დღეს ზარბაზნები დაუშინეს მალაია უსპენსკაიას ქუჩიდან შიკის სახლს, რომელშიც კბილის საექიმო სკოლა იყო. სროლის დროს სახლიდან გადმოვარდნილან სკოლის გამგე კარიტინი და რამდენიმე მოსწავლე ქალი, რომელთაც უკანა კარიდან გასვლა მოუწადინიათ. მაგრამ გამოსულან თუ არა, მაშინვე თოფები დაუშენიათ, გამგე მხარში დაჭრილა. დაჭრილა სამი ქალიც. დანარჩენნი ისევ სახლში შევარდნილან. ამავ ადგილებში ზარბაზნები სახლებისათვისაც დაუშენიათ. ამ სახლებიდან მებრძოლ რაზმელებს უსროლიათ ჯარისათვის. თუმცა მცხოვრებნი წინადვე გაუფრთხილებიათ და ამიტომ ხალხი არ დაშავებულა, მაგრამ ზარალი სამაგიეროდ დიდია, რადგან დაუნგრევიათ აფთიაქი და სასტუმრო.

არსენალში 12-მდე სახლი დაუზიანებიათ. უსროლიათ აგრეთვე პროხოროვის მანუფაქტურის სახლებისათვის და შმიდტის ავეჯეულობის ქარხნისათვის. ზოგ სახლში არავინ მომკვდარა, ზოგში კი ბევრი დახოცილა და დახოცილთა შორის უმეტესად შემთხვევით გამვლელ გამომვლელი ხალხია. ამავ დღეს როგოჟის ნაწილში გაფიცულები შესტაკებიან პოლიციელებს. დაჭრილა უბნის ზედამხედველი მეორე ნაწილისა და ორი პოლიციელი. გაფიცულების მხრივ ორია მოკლული. ამავე ღამეს როგოჟის საპოლიციო ნაწილს დასცემიან და მოუკლავთ ორი კაცი. დასცემიან აგრეთვე პირველ და მესამე საპოლიციო ნაწილებს. პროხოროვის ქარხნის ახლოს დაუხვრეტიათ პრესნის ნაწილის უბნის ზედამხედველი სახაროვი და მოუკლავთ ამავე ნაწილის ორი პოლიციელი.

14 დეკემბერს ბრძოლა ცოტა შემცირებულა, მაგრამ ზარბაზნების სროლა არ შეწყვეტილა. ჯარი ანგრევდა ამართულ ბარიკადებსა და სახლებს ლესნაია ქუჩაზედ და სხვა ალაგებზე. დაუხვრეტიათ შიკისა და რომანოვის სახლები. პოლიციელების და თითო თითოდ მოსიარულე სალდათების მოკვლა ამ დღეს კიდევ უფრო გახშირდა. ამ დღეს მოუკლავთ 20 პოლიციელი და კიდევ მეტი სალდათი. ხალხი ძლიერ დაშინდა და ბევრნი მოსკოვიდან გარბოდნენ. პეტერბურგიდან კიდევ მოსულა სემეონოვის პოლკი და არტილერია. გუბერნატორის ბრძანების თანახმად ამ დღეს, საღამოს 9 საათს შემდეგ, გარედ არავინ გამოდიოდა. გუბერნატორმა ბრძანება გამოსცა აგრეთვე, რომ ფანჯრებზე ფარდები ჩამოაფარონ და ფანჯრები არ გააღონ ხოლმე, რადგან შესაძლოა ჯარმა ამ შემთხვევაში სროლა ასტეხოს. ამისდა მიუხედავად, როგორც ვთქვით, ამ დღეს სროლა მაინც იყო და ერთ სახლში ყუმბარას 9 მომუშავე მკერავალი მოუკლავს. ბევრი დაშავებულა სათავად-აზნაურო პანსიონშიაც. სამრეწველო სასწავლებელში, დაუპატიმრებიათ მებრძოლ რაზმელთა ჯგუფი, ქალები და კაცები. ერთ სახლში კიდევ სროლის დროს ყუმბარას შეუნგრევია კედელი და მოუკლავს ქალი ძუძუთა ბავშვით. ამბობენ, პრესნის ნაწილში რევოლიუციონერებმა ამ დღეს დახვრიტეს პოლიციის უფროსი ვოლოშნიკოვი. ამას თურმე სარევოლიუციო კომიტეტმა მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. ასეთივე განზრახვა ჰქონიათ რევოლიუციონერებს საიდუმლო პოლიციის სხვა წევრების შესახებ, მაგრამ ვერ განუხორციელებიათ.

(შემდეგი იქნება).

ახალი ამბავი

◆ **კავკ. ნამესტნიკის თანაშემწეთა გადადგომა.** სატახტო ქალაქის გაზეთებში დაბეჭდილია: როგორც ხმა დადის, კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწენი გენერლები მალამა და შირინკინი და სულთან-კრიმგირეი თანამდებობას თავს ანებებენო. იმავე გაზეთის სიტყვით, კავ. ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვიც მიდის და იმის ადგილას ფიქრობენ დანიშნონ ან გენერალი კუროპატკინი ან კიდევ გენერალი მიშჩენკო. მკითხველებს ეხსომებათ, როგორ გაითქვეს სახელი ამ გენერლებმა რუსეთ-იაპონიის ომის დროს. კავკასიის ნამესტნიკად ასახელებენ აგრეთვე გენერალ გროდეკოვს, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად გენერალ-გუბერნატორად იყო ხაბაროვსკში.

◆ **ახალი გაზეთი.** დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში ბაქოში გამოვიდა სოც.-რევოლიუციონერების ახალი გაზეთი „კავკაზსკოე სლოვო“. გაზეთი გამოსვლისათანავე დაიკეტა. ახლა, ადგილობრივ გაზეთების სიტყვით, ბაქოს გენერალ-გუბერნატორს ნება დაურთავს ხელ-ახლა გამოსცენ ხსენებული გაზეთი.

◆ **ხაშურის აღება იერიშით.** მიხაილოვოდან ტფილისში ჩამოვიდა სახალხო მატარებელი, რომლითაც მრავალი დაპატიმრებული ჩამოიყვანეს. როგორც გავიგეთ, ხაშურზე ჯარს იერიში მიუტანია და აუღია. ბევრია თურმე დაჭრილ-დახოცილები. სადგურს და დაბას ცეცხლი უკიდია თურმე. ხმა დადის, რომ ამნაირი იერიშით უნდათ იმერეთში გადასვლა და იქ ბრძოლის განგრძობა. ტფილისში გუშინ საშინელი ხმები გავრცელდა, ამბობენ, ჯარი და ყაზახობა გზა-და-გზა ყველაფერს ანადგურებენო.

◆ **საომარ დროის წესების ახნა.** ხმა დადის, რომ საომარ დროის წესებს იანვრის შვიდიდან ახსნიანო.

◆ **დარაჯების მოკვლა.** 27 დეკემბერს ტფილისის მაზრის სოფლებს ცხრუკლეთისა და ნახშირ გორის შუა ვიღაც უცნობი შეიარაღებული კაცები თავს დასცემიან პოლიციის დარაჯებს და მოუკლავთ ოთხი კაცი: ურიადნიკი ალეშენკო და დარაჯები ჩიკვაიძე, პოპოვი და მატილინი. მკვლელებს წაუღიათ თოფები და წაუყვანიათ ცხენები.

◆ **ჯარში გაწვეულთა შესახებ.** წელს ჯარში ახლად გაყვანილებმა, თითქმის ყველგან ამიერ-კავკასიაში, თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს მთავრობას. სხვათა შორის, ახლად გაწვეულთ ითხოვეს, რომ ისინი აქვე, ამიერ-კავკასიაშივე, დასტოვონ. ნამესტნიკს, განუხილავს რა ეს საქმე, „კავ.“ სიტყვით, ბრძანება გაუცია გამოუცხადონ სოფლის საზოგადოებებს, რომ უმაღლესის ბრძანებით, კავკასიიდან გაწვეულ ყმაწვილ კაცებს ჰგზავნიან თურქესტანის, ოდესის, კიევის, ყაზანის, მოსკოვის, ვილნოს და ვარშავის სამხედრო ოლქის ჯარებში და რომ ახლად გაწვეულთა თხოვნას მთავრობა მხედველობაში მიიღებს სამხედრო ბეგარის წესდების გადასინჯვის დროსაო.

◆ **ახალი ბაჟი.** მთავრობას აზრადა აქვს ბაჟი დაადოს ქაღალდს, თოფის წამალს და პაპიროსის გილზებს.

◆ **მემამულის მოკვლა.** როგორც სოფელ ბაკურციხიდან (სიღნაღის მაზრაა) გვატყობინებენ, იქ მოუკლავთ ადგილობრივი მემამულე თავადი ლევან ვაჩნაძე.

◆ **„რაბოჩი ლისტოკის“ საქმე.** როგორც ვწერდით, „რაბოჩი ლისტოკის“ რედაქტორი ნ. ზ. ელიავა გაზეთის მიმართულების გამო პასუხის გებაში იქმნა მიცემული. პალატაში ეს საქმე განსახილველად დანიშნულია 11 იანვრისთვის. ამ ორის დღის წინად სამოსამართლო პალატის წევრებს სხდომა ჰქონდათ და გადუწყვეტიათ, რადგან ნ. ელიავა სადღაც გადაიმალა, 1000 მანეთით დაჯარიმებულ იქმნეს მისი თავმდები, ნაფიცი ვექილი როხლინი.

◆ **თავის კვლა.** ქ. გორში 1 იანვარს, ადგილობრივ კლუბის დარბაზში რევოლვერით თავი მოუკლავს ქართლის გენერალ-გუბერნატორის ბაუერის ადიუტანტს პოდპორუჩიკს გრიგოლ ბაიჩევსკის.

◆ **ქართული სასულიერო ჟურნალი.** ქართველ სამღვდელოების დელეგატთა კრებამ დაადგინა გამოსცეს ქართული სასულიერო ჟურნალი. ჟურნალს სახელად „სვეტიცხოველი“ ერქმევა. პირველი ნომერი თებერვლის პირველ რიცხვებში გამოვა.

◆ **ხულიგანების თარეში.** ტფილისში, როგორც აღვნიშნეთ, ხულიგანებმა ხელახლა წამოჰყვეს თავი. დღე ან ღამე არ გავა ისე, რომ არავინ აიკლონ და აწიოკონ. 4 იანვარს, ღამე, გაუტეხიათ მიხეილის ქუჩაზედ, ლიუტერანთა კირკის გვერდით, ხან-პირას სახლში, სამკერვალო ცეხისა და გაუტანიათ 1000 მანეთის ტანისამოსი. ამ სახლის პირდაპირ სცხოვრობს ტფ. გორნიზონის ჯარის „ოხრანნი“ განყოფილების უფროსი გენერალი რილსკი.

◆ **ახალი პროკურორი.** ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორად დაინიშნა ბაქოს სასამართლოს პროკურორი ვორონოვი.

◆ **სომეხთა კონსტიტუციონალურ-დემოკრატიული პარტია.** ტფილისში, როგორც ამბობენ, შემდგარა სომეხთა რადიკალური ფრაქცია ამ პარტიისა. ეს ფრაქცია თხოულობს: 1. ერთ პალატიან სისტემას, 2. ქალთა თანასწორობას, 3. საოლქო თვითმართველობას ამიერ-კავკასიისათვის; 4. სომხის ეროვნების დაცვას. საორგანიზაციო ბიურო კიდეც შემდგარა. ამ

„ცნ. ფურ.“ № 2972.

ბიუროში მოჰყოლიან: პ. ღამბაროვი, ა. ხატისოვი, „მშაკის რედაქტორი ა. ქალანთარი, „მურჭ“-ის რედაქტორი სარქისიანი, ექიმი სტეფანოვი, ს. არუთინოვი, ა. ფირალოვი და სხვები.

✦ **წვრილ-მოვაჭრეთა მოთხოვნილება.** ამას წინად მოხდა წვრილ მოვაჭრეთა კრება. კრებამ დაადგინა მოითხოვოს: 1. გაუქმება სამხედრო წესებისა; 2. განთავისუფლებულ იქმნას ამ გაფიცვის დროს და მას შემდეგ დატუსაღებულნი პოლიტიკურ საქმეებისათვის; 3. უზღოს მთავრობამ ყაზახებისაგან გაძარცულ და აკლებულთ ყოველივე ზარალი; 4 ყველა დათხოვნილები ამ გაფიცვის დროს მიღებულ იქმნან თავიანთ ადგილზე; 5. პატენტების აღებისთვის მოგვეცეს ორი თვის ვადა; 6. ორი თვის შემდეგ ავიღოთ მარტო პატენტი და მივცეთ ის ფასი, რაც ზედ პატენტზეა დაბეჭდილი.

✦ **სომეხ-თათართა გაზეთი.** ბაქოში სომეხ-თათართა ინტელიგენციას განუზრახავს გამოსცეს სომეხ-თათართა გაზეთი.

✦ **ბოიკოტი.** ტფილისის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებმა გაზ. „კავკაზს“ ბოიკოტი გამოუცხადეს იმ წერილისა გამო, რომელიც ამას წინად მათ შესახებ დაიბეჭდა.

ბერძნული გაზეთი. ნამესტნიკმა ნება დართო სათავად-აზნაურო გიმნაზიის მასწავლებელს კორხანიდის გამოსცეს ქ. ტფილისში ბერძნულ ენაზე ყოველდღიური გაზეთი „პრომეთეოსი“ და ორკვირეული საყმაწვილო ჟურნალი „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ პედაგოგიურის განყოფილებით.

✦ **სწავლის განახლება.** ფიქრობენ ტფილისის საშუალო და მდაბალ სასწავლებლებში სწავლა შაბათს, 7 იანვრიდან განაახლონ.

✦ **ექსარხოსის დეპეშა.** ეპისკოპოს ევთიმეს დეპეშა მოუვიდა ექსარქოსისაგან. ატყობინებს ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდება ჩემი ჩამოსვლა, რადგან ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ მომინდება მოხსენების წარდგენაო.

✦ **თავ დასხმა.** როგორც ქ. გორიდან გვატყობინებენ, ამ დღეებში ვიღაც უცნობი პირები თავს დასხმიან გორის სამოსამართლო განყოფილებას და წაუღიათ იარაღი და საბუთის ქაღალდები.

✦ **ქართველ ეპისკოპოსების დაბარება პეტერბურგში.** ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორას სინოდისაგან მოწერილობა მოუვიდა. ამ მოწერილობით პეტერბურგში იბარებენ იმერეთის ეპისკოპოსს ლეონიდს და გორის ეპისკოპოსად ნამყოფს კირიონს. როგორც გავიგეთ, ხელმწიფეს მოუსურვებია ეპისკოპოსებთან მოლაპარაკება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენის შესახებ. პეტერბურგიდან ხმები მოვიდა, რომ საქართველოს ეკლესიას არ უნდათ მისცენ ავტოკეფალური უფლებანი, აპირობენ მხოლოდ ქართველ ექსარხოსის დანიშვნას.

✦ **პ. გოთუას დაპატიმრება.** დანამდვილებით გავიგეთ, რომ იმერეთში დაუპატიმრებიათ „ვოზროჟდენიეს“ რედაქტორი პ. გოთუა.

✦ **ქართული წარმოდგენები.** ტფ. სახაზინო თეატრის დირექციამ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას თეატრი ქართულ წარმოდგენებისათვის დაუთმო თორმეტ თუმან ნახევრად. ქართული წარმოდგენები დაიწყება ნათლიღების შემდეგ.

✦ **ახალი ოპერა.** როგორც გადმოგვცეს, ტფილისის სახაზინო თეატრში საოპერო არტისტთა ამხანაგობა წარმოდგენებს განაახლებს 6 იანვრიდან. სახაზინო თეატრის დირექციას ამხანაგობისათვის შემწეობად მიუცია 10,000 მანეთი. ახლა დირექციამ საოპერო ამხანაგობას შემდეგი შეღავათი მისცა: თეატრის ქირას სულ არ გადაახდევინებს, ტანისამოსებსა და ყოველ გვარ აქსესუარებს სულ უფასოდ დაუთმობს, კაპელდინერებსა და სხვა ყველა მსახურთ თვითონ მისცემს ჯამაგირებს და ამხანაგობას გადაახდევინებს მხოლოდ გათბობა, განათებისა და მაზუთის ფასს, ისიც იმდენს, რამდენიც დასჭირდება.

✦ **ტფ. სათავად-აზნაურო ბანკი.** როგორც მკითხველებმა იციან, ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა უკანასკნელ კრებაზე არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია იმის გამოსარკვევად, გასცეს თუ არა ბანკმა ფული იმ სოფლის მამულებზე, სადაც მოძრაობაა და მამულები შემოსავალს არ იძლევა. კომისიამ განიხილა ეს საკითხები და დაადგინა: კომისიის გადაწყვეტილებას ამ საგანზე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ფულის გაცემა სრული უფლებაა ბანკის გამგეობისა და არა სხვა პირებისა. გამგეობა-კი ჯერ-ჯერობით ვერა ბედავს, ფული გასცეს სოფლის მამულებზე.

✦ სოფელს თედო წმინდიდან (გორის მაზრა) ფეხით მოვიდა ერთი კაცი და გვამბობ შემდეგი: ადგილობრივ აზნაურიშვილს ნიკო გარსევანიშვილს დაეცნენ წითელი რაზმელები იარაღის წასართმევად. გარსევანიშვილმა მასწრო და კოშკში აირბინა შეიარაღებულმა, აქადან დაუწყო სროლა რაზმელებს და ერთი რაზმელი მოჰკლა. ამის შემდეგ რაზმელები დაეცნენ დიკო გარსევანიშვილს, მაგრამ მას იარაღი ვერ უპოვეს და სოფლიდან გავიდნენ.

✦ სასინოდო კანტორას ოფიციალური მოწერილობა მოუვიდა. სწერენ აცნობოს რითი გათავდა ყოფილ ხაზინადრის ა. პ. არდაზიანის საქმე და ან თვით ხაზინადარი სად იმყოფება.

✦ 2 იანვარს, 12 საათზედ, ციციანოვისა და ალაზნის ქუჩების კუთხეში, ვაჭარს არშაკ მაისუროვს სარდაფში ორი უცნობი კაცი შეუვარდა და სასიკვდილოდ დასჭრა.

✦ პატრიოტიულ პარტიის თავმჯდომარის თანაშემწე გოლოვაჩევსკი, რომელიც ამას წინად დასჭრეს, უკვე მორჩა ჭრილობისაგან და თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

✦ 1. გორის მაზრაში სად. გომზე, როდესაც სტრაჟნიკი კრიკუნი ვაგონში იმყოფებოდა, თავს დაესხა 8 შეიარაღებული კაცი და იარაღი აჰყარა; 2. სოფ. ჩუმათელეთში გორისავე მაზრისა, იტრიის ტყის მცველს ხაჩიძეს და ვარაულ ქურდიძეს უცნობმა კაცებმა წაართვეს სახელმწიფო თოფები.

✦ საყასბოს მუშებმა გუშინ მოთხოვნილებანი წარუდგინეს ქალაქის გამგეობას და სთხოვეს ჯამაგირების მომატება 10 მანეთამდე და სხვა.

✦ სომეხ-თათართა შეტაკების დროს ყარაიაზისა და ნავთლუღის მინდვრებიდან ქურდებმა ბევრი საკლავი საქონელი გაიტაცეს. ამ ბოლო დროს, როცა ტფილისში საკლავი საქონელი მორეკეს, ბევრმა პატრონმა იცნო თავისი საქონელი.

✦ ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ გამგეობის მოხელეებს დაავალა, რომ იგინი სამსახურში რიგიანად დაიარებოდნენ.

✦ საომარ დროის წესებისა გამო ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნები ვეღარ იკრიბებიან.

✦ სახაზინო თეატრის კაპელმეისტერი შტეინბერგი შეუდგა ოპერის დაწერას თავ. სუმბათაშვილის დრამის „ღალატის“ ტექსტზე.

✦ 3 იანვარს ტფილისის სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტებს ლაპარაკი ჰქონდათ ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. კრებამ დაადგინა მოიწვიოს სასანიტარო ექიმები საჭიროების დროს; ისინი აგენტებთან ერთად ჩამოივლიან უბნებს და შეუდგებიან ზრუნვას დასასუფთავებლად. ქალაქი ამისთვის რამდენსამე რაიონად დაიყოფა და თითოეულ რაიონს ექიმი აგენტებთან ერთად კვირაში ორჯელ დაათვალიერებს. ამას გარდა კრებამ დაადგინა, ვაჭრებს და მეტრაქტირეებს არ მიეცეთ სავაჭრო საბუთები, ვიდრე ისინი არ წარუდგენენ გამგეობას სამეურნეო პოლიციის კვიტანციებს, რომ მათ უკვე დარჩენილი გადასახადები შეიტანეს ქალაქის კასაში. რადგანაც ხმა გავრცელდა, რომ სააქციზო უწყების მოხელენი ადგილობრივ დაუვლიან ვაჭრებს სავაჭრო მოწმობის დასარიგებლად, კრებამ დაადგინა სთხოვოს გამგეობას პროტესტი გამოუცხადოს ამის გამო, რადგანაც სავაჭრო პოლიციას ამით საშუალება ერთმევა გადასახადების გადახდევინებისა. კრებისავე დადგენილებით გამგეობასთან აგენტების მორიგეობა იქნება შემოღებული.

„ცნობის ფურცლის“ სურათებიანი დამატება რომელიც დღეს უნდა გამოსულიყო, გამოვა ხვალ, 6 იანვარს.

† ილია ხირსელი

დეკემბრის სარევოლიუციო ტალღამ მოსკოვში, სხვათა შორის, ერთი ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულეც იმსხვერპლა, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ილია ხირსელი. განსვენებული ილიკო დაიბადა ქ. თელავში 1882 წელს. იმისი მშობლები კახეთის ხელმოკლე აზნაურთა წრეს ეკუთვნოდნენ და პატარა ილიკო ჯერ ხუთი-ექვსი წლის ბავშვი იყო, როდესაც მთელი ოჯახი ტფილისში გადმოსახლდა საცხოვრებლად. სწავლა ილიკომ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში დაიწყო, სადაც ამ სამის წლის წინად დაასრულა გიმნაზიის კურსი და შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის სამეურნეო ფაკულტეტზე. ამ დროიდან იწყება დავაჟკაცებულ ილია ხირსელის მონაწილეობა სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის მოქმედებაში. უნივერსიტეტის ცხოვრება, როდესაც ილიკო მოსკოვში მივიდა, უკვე აბობოქრებული იყო და რუსეთის რევოლიუციისთვის გზას აფართოვებდა. ილიკო მთელის თავის ახალგაზრდური ენერგიით და მხურვალე გულით ჩაერია სტუდენტთა მოძრაობაში და, რაც ხანი გადიოდა, მით უფრო მეტის სიმტკიცით და თავგანწირულებით ემსახურებოდა განთავისუფლების საერთო საქმეს.

უკანასკნელი ზაფხული ილიკო ხირსელმა თავის სამშობლოში გაატარა და აქაც მთელი იმისი გულისყური განმათავისუფლებელ მოძრაობას ჰქონდა დაპყრობილი. ზაფხულში ილიკომ მოიარა თელავის, თიანეთის და სიღნაღის მაზრები, ყველგან თავის გულმხურვალე სიტყვით ხალხს ამხნევებდა და გულში თავისუფლების სიყვარულს უნთებდა.

სექტემბრის გასულს ილიკო ისევ მოსკოვში წავიდა და წინანდელზე უფრო მტკიცედ შეუდგა სარევოლიუციო მოქმედებას. 14 დეკემბერს განსვენებულს მოსკოვის ერთ-ერთს ქუჩაზე ყუმბარები მიჰქონდა, წინ ყაზახების პატრული გამოჩნდა. ილიკომ ყუმბარები საჩქაროდ თოვლში ჩაფლა და წინ გასწია, უკან დაბრუნება შეუძლებელი იყო, რადგან იქ არტილლერია იდგა. ყაზახებმა გაუსინჯეს ილიკოს ჯიბეები, ვერაფერი უპოვეს და გაუშვეს, მაგრამ ჯერ ორი ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ ხელახლა შეაჩერეს და ტყვია პირდაპირ გულში მიახალეს. ილიკო წაიქცა და სამუდამოდ დახუჭა თვალი.

ილიკო ერთად ერთი იმედი და ნუგეში იყო მოხუც მშობლებისა. განსვენებული ბუნებით გულახდილი, მხიარული და ყველასაგან საყვარელი ყმაწვილი იყო; შეურყევლად სწამდა რევოლიუციის გამარჯვება, გმირულად იბრძოდა ხალხის განთავისუფლებისათვის

უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ილიკო ქართულს მწერლობაშიაც იღებდა მონაწილეობას, ჰგზავნიდა კორესპონდენციებს ჩვენს გაზეთში და სთარგმნიდა რუს ბელლეტრისტების ნაწერებს. თანამშრომლობდა უმთავრესად ჩვენს გაზეთში, სადაც დაიბეჭდა ხუთი-ექვსი იმის მიერ გადმოთარგმნილი მოთხრობა და დიდად საინტერესო კორესპონდენციები მოსკოვიდან.

ილიკოს სიკვდილმა ყველა იმის მახლობელი და ნაცნობი დაალონა, ყველა იმის ნაცნობს მწუხარებით აევსო გული; ჩვენც ვწუხვართ ახალგაზრდა, ჯანსაღ, საიმედო, გულწრფელ და მომქმედ ილიკოს გადაცვალებას, ვწუხვართ და ამით-ღა ვნუგეშობთ, რომ იმისი სიკვდილი გმირული იყო.

„ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალ!“*)

(წერილი რედაქციის მიმართ)

როგორც მკითხველს უკვე ეცოდინება, ახლად დაარსებულმა სოციალდემოკრატიულმა ორგანომ „სხივმა“ მედგარი იერიში მიიტანა ჩემ მიერ „ივერიის“ მე-222 №-ში დაბეჭდილ სტატიას „პროლეტარიატსა და ეროვნებაზე“. გარნა ნათქვამია: „ზოგი ჰირი მარგებელიაო“, და სწორედ ეს „სხივის“ იერიშიც, მიმართული ჩემდა გასაბათილებელ-გასანადგურებლად, ჩემთვის სასარგებლო და ხელსაყრელი გამოდგა ჩემის სამართლის ცხად საყოფელად.

რომ გაზ. „სხივი“ ჩემ გასაბმელად დადგმულ ხაფანგში თვითონ გაება, ამას ამხანაგი მკითხველი შემდეგიდან დაინახავს.

გაზ. „სხივი“ თავის მე-5 ნომრის პრესაში ბრალს სდებს რა ნაციონალისტურ გაზეთებს და კერძოდ „ივერიას“, რომ მათ ავტონომიის მეტი არაფერი არ აინტერესებთ და ამიტომაც მუდამ ავტონომიაზე სწერენო—ამბობს:

> ივერია გუშინ კიდევ აივსო „ავტონომიურ“ წერილებით, და რომ უფრო გაასალოს თავისი მცნება ერთი „სოციალდემოკრატიც“ დაუხმარებია. ამ ჟამად მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ „ივერიის“ ამ ახირებულ თანამშრომლისაკენ, რომელიც თავის თავს სოციალდემოკრატათ აღიარებს, ხოლო ჩვენს პროგრამასთან კი მწყრალად ყოფილა.

ზემორე მოყვანილს ციტატაში ყველა მკითხველი აშკარად დაინახავს, რომ „სხივი“ სოციალდემოკრატიულ პროგრამის უცოდინარობას მიკიჟინებს, გარნა უკაცრავად კი არ ვიყო პატივცემულ გაზეთთან და დასახელებული პროგრამა ამ გაზეთის გამოჩეკის დიდის ხნის წინად ვიცოდი, ხოლო ვიცოდი და მწამდა ისე ბრმად და დოგმატურად კი არა, როგორც, სამწუხაროდ, გაზ. „სხივს“ და მის ჩემ მოამხანაგე ამყოლ-დამყოლთ სწამებიათ, არამედ ნათლად და გარკვეულად. მე დღევანდლამდის შეიძლება დავეკმაყოფილებინე სოც.-დემ. პროგრამის იმ მე-8 მუხლს, რომელიც ეროვნულ საკითხს ეხება და ყველა სკოლაში სამშობლო ენაზე სწავლების აუცილებლობას აღიარებს, მაგრამ დღეს, როცა ცხოვრების აუცილებელმა მიმდინარეობამ და მისმა ბუნებრივმა კანონებმა წინანდელთან შედარებით სოციალური და პოლიტიკური საკითხები უფრო გაართულა და მათზედ აზროვნება და ფიქრი თითქმის ყველასათვის ბუნებრივ მოთხოვნილებად გადაიქცა, და აგრეთვე როცა მანვე ისეთი სუსტი გადაჰკრა ეროვნულ საკითხისა, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ და რომლის გამომხატველიც სოც.-დემ. პროგრამის მე-8 მუხლი არის,—დღეს ძირიანფესვიანად უარჰყო და ზედ გადაალაჯა, მეც, როგორც სხვები, იძულებული ვარ სოციალდემოკრატიულ პროგრამის მერვე მუხლს გამოვეთხოვე და იმის ნაცვლად სხვა თანამედროვე აუცილებელ სულიერ მოთხოვნილებასთან შესაბამებული მუხლი დავწერო.

ჩემის აზრით, პროგრამა, რომელ პროგრესიულ პარტიასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, შექმნილია ანუ დაწერილია სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობის მიხედვით, ესე იგი, სხვანაირად რომ ვსთქვათ, იგი გამომხატველია აწმყოსი და მომავლისა იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია ამ უკანასკნელის წინასწარ გათვალისწინება და გამოხატვა. თავისთავად პროგრამა კი იყოფება ორ მთავარ ნაწილად ან ორ პატარა პროგრამად: პროგრამა მინიმუმი (minimum) და პროგრამმა მაქსიმუმი (maximum). პირველი ამ ორში საშუალებაა, იარაღია მეორის განხორციელებისა, ხოლო მეორე მიზანია, იდეალი. რადგან ცხოვრებაში ევოლიუცია თავის ბუნებრივ აუცილებლობლობით გამუდმებით მოქმედებს, ცხოვრებას თავის პირობებითურთ ნელ-ნელა სცვლის და სხვა სახეს, სხვა ფორმას აძლევს, ამიტომ პროგრამა მინიმუმიც უნდა იცვლებოდეს და რთულდებოდეს; ხოლო ამ ევოლიუციის ანუ გარდაქმნა-გარდაშენების მკვლევარ-მაძიებელი თავისდა უნებურად, შეთანხმებულ მომქმედთათვის, პროგრამა-მინიმუმის ამა თუ იმ პუნქტს ევოლიუციის ქარტეხილისაგან გადალახულ-განადგურებულს, სცვლის და მის ნაცვლად სხვას არკვევს. ამ ახლად შემუშავებულ ფაქტს კი ევოლიუციის აუცილებელი ნაყოფი ეწოდება და როცა ეს ტიტანი ევოლიუცია ნაყოფს იღებს, ეს იმას ნიშნავს, რომ გართულებული ცხოვრება თავის პირობებითურთ ახლდება და სხვა ახალ კალაპოტში გადადის, ხოლო ამ ახალ კალაპოტში ის კი ახალ ფიზიონომიას, ახალ ელფერს ღებულობს.

გაზ. „სხივს“ და მის ამყოლ-დამყოლთ რომ ასე სწამებოდათ სოც.-დემ. პროგრამის—პროგრამა მინიმუმი, მე მგონია მათ ჩემ სოციალ-დემოკრატობაში ეჭვი არ შეეპარებოდათ, მაგრამ რას იზამ, როცა ისინი ამ მხრივ რევოლიუციის ჩარხს ქვეშ მოჰყვნენ. თუმცა ეს მოვლენა სამწუხაროა, მაგრამ ისიც მართალია, სამწუხაროზე წუხილი ქვით წყლის ნაყვაა და სხვა არაფერი. ამიტომ მეც ამაზე მოთქმა-გოდებას თავს დავანებებ და ჩემსას განვაგრძობ.

შემდეგ „სხივს“ მოჰყავს ციტატად სტატიის ბოლო, რომელშიაც ნათლად და გარკვევით ვიწოდებ შეგნებულ პროლეტარებს და ქართველ სოციალ-დემოკრატებსა ცენტრალიზმის დასაგმობად და ეროვნულ დემოკრატიულ ავტონომიის დასამყარებლად, და განაგრძობს:

> ამ პატარა ამონაწერში აურეველი შეცდომაა. ავტორი ითხოვს კულტურულად განვითარებას, და მერე ვინ არის ამისი წინააღმდეგი? განა ჩვენი პროგრამა ამასვე არ თხოულობს? განა სოციალდემოკრატიულ შარშანდელ კონფერენციაზე (ჩვენი პარტია, „ბუნდის“, ლატიშების, და სხვ.) შემუშავებულ დეკლარაციაში ნათლად არ არის ნათქვამი ყველა ერს კულტურულ განვითარებისათვის გარანტია უნდა მიეცესო?“.

„თავგმა თხარა, თხარა, კატა გამოთხარაო“. „სხივსაც“ ასე მოსდის როცა ჩემდა დასამარცხებლად სოც.-დემ. პარტიათა შარშანდელ კონფერენციას იგონებს. აქ უნდა ვაღიაროთ, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიათა შარშანდელ კონფერენციას რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ არა-რუს ეროვნებათა პოლიტიკურ საკითხის გადაწყვეტა არა ჰქონია დავალებული და ამგვარი მისია არც სისრულეში მოუყვანია, ხოლო, როგორც „სხივი“ ამბობს, თუ კონფერენციაზე მყოფი დელეგატები, სხვათა შორის, ეროვნულ საკითხსაც შეეხნენ და ყველა ერის კულტურულ განვითარებისათვის გარანტიის საჭიროება აღიარეს, ვითომ აქედან „სხივს“ რა დასკვნა გამოჰყავს? აქ, სხვათაშორის, უნდა შევნიშნოთ, რომ გაზეთ „სხივს“ სიტყვა გარანტია ან არ ესმის ან და თვალთმაქცურის მოსაზრებით არ უნდა გაიგოს, თორემ კონფერენციის დეკლარაციაში ნათლად ნათქვამია: „ყველა ერს კულტურულად აღორძინებისათვის გარანტია უნდა მიეცეს“ ასე არ უნდა სწამდეს, რადგან თუ კონფერენციაზე მყოფმა დელეგატებმა თავიანთ დეკლარაციაში ნათლად გამოსთქვეს ყველა ერის კულტურულად აღორძინებისათვის სრულ გარანტიის საჭიროება, აქედან თავას თავად იგულისხმება, რომ იგივე დელეგატები ეროვნულ-დემოკრატიულ ავტონომიის მომხრენი იქნებოდნენ, ვინაიდან ვიცით, რომ ყველა ერს თავის კულტურულ აღორძინებისთვის გარანტიას ფართო დამოუკიდებელი თვითმმართველობა მისცემს და ფართო თვითმმართველობის გამომხატველი კი ფედერატიულად ერთმანერთთან გაკავშირებული ეროვნული ავტონომიები იქნებიან. ასევე სწამდათ კონფერენციაზე მყოფ დელეგატების უმეტესობას ყველა ერის გარანტია და ასევე უნდა სწამებოდათ ჩვენ ქართველ სოციალ-დემოკრატებსაც, მაგრამ რას იზამთ, როცა დღევანდლამდის, მათის აზრით, კავკასიის ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია „წმინდა ბურჟუაზიულია“ და ასეთის მოთხოვნა, რაღა თქმა უნდა, პროლეტარიატისათვის საზარელია! „სხივის“ სისუსტეს და სიმუხთლეს უფრო ის გარემოება აშკარავებს, რომ „Борьба“-ს და „Начало“-ს *) ახირებულ საქციელზე კრინტი ვერ დასძრა და მათზე გაჯავრებული მე მომწვდა ყელში და „ივერიის“ ახირებულ „სოციალ-დემოკრატად“ გამომაცხადა. ამაზედ ითქმის: „კაცი ცხენს ვერ შესწვდა და უნაგირს დაუწყო მტვრევაო“.

დასასრულ „სხივი“ ირონიულად დასძენს:

> იმედია ასეთი ახირებული „სოციალ-დემოკრატი“ პირველი და უკანასკნელი იქნება ჩვენში.

ჩემ პირველ უკანასკნელობისა კი რა მოგახსენოთ, და რომ გაზ. „სხივი“ და მისი ამყოლ-დამყოლნი პირველნი და უკანასკნელნი ხართ ჩვენში, ეს-კი ეჭვს გარეშეა. ეს რომ ასეა, ამას შემდეგი ფაქტები ცხადჰყოფენ: ეროვნულ-დემოკრატიულ ავტონომიის მომხრეა თითქმის მთელი ევროპის სოციალ-დემოკრატია, ავსტრიის სოციალდემოკრატია, ასეთისავე ავტონომიის მომხრეა აგრეთვე გერმანიის ს.-დ. პარტიის მთავარ საბჭოს წარმომადგენელი ცნობილი სოციალ-დემოკრატი, მწერალი კარლ კაუცკი და ამ ბოლო დროს რუსის სოციალდემოკრატიაც კი. ასე რომ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია ეროვნულ-დემოკრატიულ ავტონომიას არამც თუ არ უარჰყოფს, არამედ თავის აუცილებელ პრინციპადაც კი აღიარებს.

ეს თუ ასეა, მაშასადამე, იმისი გამოცნობა, თუ ვინ შეადგენს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის გამო ნაკლს, მე თუ ავტონომიის „მოსისხლე მტრები“ „სხიველი“ ქართველი სოციალ-დემოკრატები, ამხანაგ მკითხველისთვის მიმინდვია გამოსაცნობად. „ჩემი შენ გითხარო, გული მოგიკალო“ სწორედ ამაზედ არის ნათქვამი.

ნ. ეგვიტიშვილი.

წეს-რიგი არჩევნებისა სახელმწიფო სათათბიროში

(უმაღლესი ბრძანება სენატს)

(დასასრული *)

VIII. იმ პირთ, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სათათბიროში ამ ჩვენის ბრძანების მე-I—IV განყოფილებათა ძალით, თუ ეს პირები არ არიან შეტანილნი საარჩევნო სიებში სახელმწიფო სათათბიროს დებულებისა ანა და მეშვიდე მუხლში აღნიშნულ ცნობებისა და სიების ძალით, ნება მიეცეთ, თუ ისინი მოისურვებენ თავიანთ უფლებით ისარგებლონ, წერილით აცნობონ ამის შესახებ იმ დაწესებულებას, რომელიც ადგენს დამატებით საარჩევნო სიებს, არა უგვიანეს 3 კვირისა, და ამასთან უნდა წარადგინონ საჭირო მოწმობა, რომ მათ უფლება აქვთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა.

IX. ამომრჩევლების დამატებითი სიები უნდა გამოფენილ იქნან ამ სიების შემდგენელ დაწესებულებებში.

X. სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების დებულების მუხლების შესაცვლელად და დასამატებლად დადგენილ იქნას შემდეგი წესები:

1. მაზრებსა და ქალაქებში ცალ-ცალკე წინასწარ კრებების გამართვა და აგრეთვე ამოსარჩევ წარმომადგენელთა განწესრიგება ქალაქის სხვა და სხვა ადგილებს შორის დაეკისრება მაზრების საარჩევნო კომისიებს; 2. მაზრის მიწათმფლობელთა და ქალაქის ამომრჩეველთა კრებებზე არჩევნები მოხდება ბარათების მიცემით, რის დროსაც უნდა იხელმძღვანელონ მე-38 მუხლის მე-4—13 დამატებით და სათათბიროს დებულების მე-43 მუხლებში აღნიშნულ წესებით; 3. გუბერნიისა თუ ქალაქის საარჩევნო კრება შემდგარად მაშინ ჩაითვლება, თუ დაესწრება წარმომადგენელთა ნახევარზე არა ნაკლები, წინააღმდეგ შემთხვევაში კრება ხელ ახლა გაიმართება 7 დღის შემდეგ და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი კაციც უნდა დაესწროს.

XI. სათათბიროს დებულების მე-57—61 მუხლების შესაცვლელად შემოღებულ იქნას შემდეგი წესები.

1. გუბერნატორი თუ გრადონაჩალნიკი, არჩევნების შედეგის მიღებისთანავე, გაჰგზავნის მას სახელმწიფო სათათბიროში, იმ პირთა სია-კი, რომელნიც გუბერნიასა ანუ ქალაქში არიან არჩეულნი სათათბიროს წევრებად, წარედგინება უმართებულეს სენატს; 2. სათათბიროს წევრებად არჩეულ პირების უფლებების შემოწმება თვითონ სათათბიროს საქმეა. სათათბიროს წევრების არჩევა თუ უკანონოდ მოხდა, საჩივარი დაინტერესებულმა პირებმა პირდაპირ სათათბიროს სახელზე უნდა გაჰგზავნონ. ეს საჩივარი უნდა მიეცეს გუბერნატორს ან გრადონაჩალნიკს სამის დღის განმავლობაში, დღიდან სათანადო საარჩევნო კრების დახურვისა. გუბერნატორმა ან გრადონაჩალნიკმა საჩივარი სათათბიროში უნდა გაჰგზავნოს და თან გააყოლოს განმარტება საარჩევნო კრების თავმჯდომარისა; 3. სახელმწიფო სათათბიროს დადგენილება არჩევნების გაუქმების შესახებ ძალაში შედის იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება სათათბიროს დამსწრე წევრთა ორ მესამედის უმრავლესობით მოხდა.

---

*) ამ წერილის დაბეჭდვა გაფიცვების გამო დაგვიანდა. ავტ.

*) ეს ორი ორგანო, როგორც მკითხველი საზოგადოება „ივერია“—„ცნობის ფურცლიდან“ გაიგებდა, სოციალ-დემოკრატია და ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიის მომხრეა.

*) იხ. „ცნ. ფურ.“ № 2972

XII. იმ დებულების, რომელიც შეეხება სახელმწიფო სათათბიროს წევრთა არჩევას, მე-38 მუხლის 1 და 2 დამატების შესაცვლელად, აგრეთვე შესაცვლელად იმ დებულების მე-24-26 მუხლებისა, რომელიც შეეხება სახელმწიფო სათათბიროს მოწვევას, დადგენილ იქნეს შემდეგი:

1. ამომრჩეველთა და წარმომადგენელთ უნდა შეადგინონ განსაკუთრებული მოსამზადებელი კრებები, რომელზედაც რჩევა ექნებათ სათათბიროს დეპუტატად ღირსეულ პირთა არჩევის შესახებ; 2. ამომრჩეველთა მოსამზადებელ კრებებში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის პირნი, რომელნიც შეტანილნი არიან ამა თუ იმ ამომრჩეველთა კრების ან საქალაქო საარჩევნო ნაწილის სიაში; მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე ამ კრების თავმჯდომარე, თუნდაც მას არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებაც არა ჰქონდეს; 3. წარმომადგენელთა მოსამზადებელ კრებებს დაესწრობიან მხოლოდ ამა თუ იმ გუბერნიის ოლქისა ანუ ქალაქის წარმომადგენელნი და აგრეთვე კრების თავმჯდომარე; 4. ამომრჩეველთა და წარმომადგენელთა მოსამზადებელი კრება მხოლოდ დახურულ სადგომში უნდა მოხდეს; 5. მოსამზადებელ კრებების დროსა და ადგილის შესახებ ამომრჩეველნი და წარმომადგენელნი აუწყებენ პოლიციას არა უგვიანეს 24 საათისა კრების დაწყებამდე; ამ განცხადებებში უნდა აღნიშნული იყოს კრების ინიციატორთა სახელებიც; 6. წარმომადგენელთა მოსამზადებელ კრებებს პოლიციის მოხელენი არ დაესწრებიან, მაგრამ თვალ-ყურს კი ადევნებენ, რომ კრებაზე გარეშე პირნი არ შევიდნენ.

XIII. 18 დეკემბერს ჩვენ მიერ დამტკიცებულ სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის და წარმომადგენელთა არჩევნების წესების დამატებად დადგენილ იქმნას შემდეგი: 1. სანამ ვოლოსტების ყრილობები საარჩევნო კრებისთვის თავის წარმომადგენლებს აირჩევდნენ, ყოველ სოფლის საზოგადოებას შეუძლიან ვოლოსტის ყრილობაში ახალი წარმომადგენლები დანიშნოს; 2. ვოლოსტების ყრილობებში რწმუნებულთა არჩევნები უნდა ფარულის კენჭის ყრით მოხდეს.

XIV. ამ წლის 11 ოქტომბერს ჩვენგნით დამტკიცებულ იქმნა წესები პოლონეთში სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების არჩევნების განხორციელების შესახებ. ამ წესების შესაცვლელად დადგენილ უნდა იქმნას შემდეგი: ლიუბლინის და სედლეცის გუბერნიების გმინები (სასოფლო საზოგადოება პოლონეთში), რომელნიც ცალკე აღნიშნულ იქმნებიან, მე-7 მუხლში აღნიშნულ რწმუნებულთა გარდა, აირჩევენ კიდევ ორ-ორ წარმომადგენელს თითო გმინისაგან. ამ რწმუნებულთა კრებები მოხდება სამაზრო ქალაქებში მომრიგებელ მოსამართლეების თავმჯდომარეობით, რომელთაც ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეთა კრებები ამოირჩევენ. ზემოდ აღნიშნული კრებები აირჩევენ თავის წრიდან წარმომადგენლებს განსაკუთრებულ ამომრჩეველთა კრებისათვის, რომელიც შესდგება ლიუბლინის გუბერნიის ქ. ხოლმში მომრიგებელ მოსამართლეთა კრების თავმჯდომარის თავმჯდომარეობით. ამ წარმომადგენელთა რიცხვი ცალკე გამოცხადდება. ქ. ხოლმის წარმომადგენელთა კრება თავის წევრთა რიცხვიდან აირჩევს ერთ დეპუტატს სახელმწიფო სათათბიროში, გარდა იმ რიცხვისა, რომელიც გამოცხადებულია ზემო აღნიშნულ წესების მეორე მუხლში.

XV. 18 სექტემბერს დამტკიცებულ სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის და არჩევნების წესების მე-50 მუხლის დასამატებლად დადგენილ იქმნას: პირველი კრება სახელმწიფო სათათბიროსი შეიძლება მოხდეს იმის შემდეგ, როდესაც უმართებულესი სენატი გამოაცხადებს სახელმწიფო სათათბიროს იმ წევრთა სიის ნახევარს, რომელნიც არჩეულნი იქმნებიან საზოგადო წესებში მყოფ გუბერნიებსა და დონის ოლქში. უნდა უზრუნველ ყოფილ იქმნას ზემო აღნიშნულ წესებით უფლება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა მცხოვრებთა იმ ნაწილისათვის, რომელსაც ეს უფლება მიენიჭება. ჩვენ საჭიროდ ვთვლით დავაჩქაროთ არჩევნები და ამიტომ შინაგან საქმეთა მინისტრს ვანდობთ: 1. დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები, რომ სათათბირო რაც შეიძლება მალე შეიკრიბოს და 2. გამოარკვიოს დაწვრილებითი წესები ამომრჩეველთა დამატებით სიების შედგენისა და არჩევნების მოხდენისა, რისთვისაც უნდა გამოიცეს განსაკუთრებული ინსტრუქცია“.

დეპეშა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

2 იანვარი

უმანი, 2 იანვარი. სოფ. მანდანეცაში გლეხებმა გაანადგურეს შაქრისა და არყის ქარხნები. სცემეს მღვდელს, მოსამსახურეები გაიქცნენ. უმანში გამოგზავნეს დრაგუნები, მოვიდა გუბერნატორი. გლეხებს იჭერენ.

მინსკი. შეაჩერეს ახალი გაზეთი „გოლოს ბელორუსსკი“, სანამ გაძლიერებული დაცვა იქნება.

პეტერბურგი, 2 იანვარი. ოფიციალური. მინისტრთა საბჭომ, იქონია რა მსჯელობა ამჟამად უმაღლეს სასწავლებლების მდგომარეობაზე, დაადგინა, გამოცხადდეს საქვეყნოდ, რომ უმაღლესი სასწავლებლები დახურული იქნებიან 1905/1906 წ. სასწავლო წლის მეორე სემესტრშიც, მაგრამ თუ მათი საბჭოები იშუამდგომლობენ სწავლის დაწყებაზე, ასეთს შუამდგომლობას თვითეულჯერ ცალკე განიხილავს მთავრობა.

პეტერბურგი, 2 იანვარი. ხარკოვისა და დორპატის საბეითლო ინსტიტუტების დეპუტაციებმა იშუამდგომლეს საერო განათლების მინისტრის წინაშე, ნება მიეცეთ მათს წარმომადგენლებს დაესწრან 5 იანვარს კრებას ყველა უნივერსიტეტის პროფესორებისას, რომელთაც უნივერსიტეტის წესდება უნდა შეიმუშაონ. მინისტრმა უპასუხა, როცა ეს კრება დაასრულებს მუშაობას, მაშინ მოხდება კრება წარმომადგენლებისა ყველა უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებისა, რომელთაც უნდა შეადგინონ წესდებანი უნივერსიტეტის წესდების ძირითად ნაწილთან შესაფარდებლად.

სმოლენსკი, 21 დეკემბერი. სადამოს ნიღაბ ჩამოფარებულმა პირებმა რევოლვერით მოჰკლეს ვინმე კოტოვი თავის მაღაზიაში.

სტოკჰოლმი, 31 დეკემბერი. გაიხსნა რიკსდაგი. შეტანილ იქნება 198,588,000 კრონი.

ჩერნიგოვი, 2 იანვარი. დაიჭირეს დამნაშავე ქალი, რომელმაც მეორე ბომბა ესროლა გუბერნატორს. აგრეთვე მესამე დამნაშავეც. ელოდებიან, რომ მათ სამხედრო სასამართლო განაათავისუფლებს.

რიგა, 31 დეკემბერი. სადამოს 7 საათზე კლიუჩევი ქუჩაზე მოჰკლეს რევოლვერებით სამი უბნის ზედამხედველი.

ლონდონი. ჯერ აირჩიეს 9 მუშა, 41 ლიბერალი, 16 უნიონისტი და 9 ირლანდიელი. აირჩიეს პრემიერ-მინისტრი კემბერ-მენერმანი.

პეტერბურგი, 2 იანვარი. იაპონია-ჩინეთის ხელშეკრულობის ტექსტს შემდეგი მუხლები აქვს დამატებული: 1. მანჯურიის დაცლის შემდეგ, ჩინეთის მთავრობა ვალდებულია გახსნას ზოგიერთი ქალაქი მანჯურიისა საერთაშორისო დასახლებისა და ვაჭრობისათვის; 2. იაპონია რუსეთთან ერთად ზომებს იღებს, ჩინეთთან შეთანხმებით, ანა და მისგან დამოუკიდებლად მანჯურიის დასაცლელად იაპონია-რუსეთის ჯარისაგან და რკინის გზის დასაცველად; 3. ჩინეთის მთავრობას შეუძლია ჯარი გაჰგზავნოს დაცლილ ადგილებში წესრიგის აღსადგენად, მაგრამ ეს ჯარი ვერ მივა ჩინურ ოც ლიზე ახლოს იაპონიის ჯარის მიერ დაჭერილ ადგილთან; 4. იაპონიის მთავრობა ვალდებულია დაუბრუნოს ჩინეთს მისი ჯარების მიერ დაჭერილი სახელმწიფო და კერძო საკუთრება მანჯურიაში; 5) ჩინეთის მთავრობა ვალდებულია მიიღოს ზომები ომში დახოცილ იაპონიის ოფიცრებისა და სალდათების საფლავების დასაცველად; 6. ჩინეთის მთავრობა აღიარებს, რომ იაპონიას ნება აქვს ისარგებლოს ანდუნ-მუკდენის რკინის გზით, რათა განვითაროს იგი და კარგა მოაწყოს მგზავრებისა და საქონლის მატარებლად. ვადათ იაპონია 15 წელიწადს სდებს; ეს ვადა დაიწყება მაშინვე როგორც გათავდება დამატებითი მოთხოვნილებანი, რაც 2 წლის განმავლობაში უნდა იქნას დასრულებული. დადებულ ვადის გათავების შემდეგ გზა მიეყიდება ჩინეთს იმ ფასად, რასაც გადასწყვეტს შეთანხმებით არჩეული უცხოელი ექსპერტი; 7. იაპონია და ჩინეთი პირობას შეჰკრავენ, რათა სამხრეთ მანჯურიის რკინის გზა შეუერთდეს სხვა რკინის გზებს ვაჭრობის განვითარებისთვის ხელის შესაწყობად; 8. ჩინეთის მთავრობა მოვალეა განათავისუფლოს ყოველივე გადასახადისა და ხარჯისაგან სამხრეთ მანჯურიის რკინის გზისთვის საჭირო მასალა; 10. ჩინეთის მთავრობა თანახმაა ნება დართოს, დაარსდეს სააქციონერო სახე-ტყეო ამხანაგობა იაპონელ და ჩინელ კაპიტალისტებისა იალუს მარჯვენა ნაპირზე ხე-ტყის გამოსატანად.

დონის როსტოვი, 2 იანვარი. აპტეკმანის მაღაზიაში აღმოაჩინეს პატრონების ფაბრიკა, მოასწრეს ოთხს გამზადებულ ბომბას. მაღაზიის პატრონი დაატუსაღეს.

ვარშავა. ქალაქში გაკრულია განცხადებანი არჩევნების შესახებ. არჩევნების წინა მოძრაობას გამოცოცხლება ეტყობა. ებრაელები ერთდებიან არჩევნებს. მუშებიც მიდიან საარჩევნო ბიუროში მიუხედავად აგიტატორებისა.

თუაფსე, 30 დეკემბერი. (დაგვიანებულია) თუაფსეს ოლქში მრავალი აგიტატორები აგულიანებენ ხალხს არ მისცენ გადასახადი, წაართვან მემამულეებს მიწა და მოითხოვონ დამფუძნებელი კრება. შავის ზღვის პირა ადგილების დამპყრობი, ეთფილი ყაზახ-რუსები, გაბრაზებული არიან აგიტატორების წინააღმდეგ და ემუქრებიან გაწყვეტას. ნოვოროსიისკიდან მოსული ამბები აფხიზლებენ მეამბოხეთ. მიტინგები შეჩერდა. სოჩთან მიმოსვლა შეწყვეტილია.

ბელგრადი. სტუდენტებს მოძრაობა ეტყობა, სერბიაში რესპუბლიკის გამოცხადების სასარგებლოდ. პოლიცია და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ეძებს იმ პირებს, რომელთაც მეორეჯელ გააკრეს ეს განცხადება უნივერსიტეტის შენობაში.

კრასნოიარსკი, 3 იანვარი. 30 დეკემბერს მოვიდა უკანასკნელი ეშელონი კრასნოიარსკის პოლკისა ომის ასპარეზიდან. ჯარის მოსვლის შემდეგ რევოლიუციონერები და აჯანყებული სალდათები რკინის გზის ბატალიონისა ჩასაფრდნენ რკინის გზის სახელოსნოებში. შენობას ჯარი შემოარტყეს და აიღეს იერიშით დაჭრილია 8 რევოლიუციონერი. მთავრობის მომხრე სალდათებში ორი მოკვდა, და რამდენიმე დაიჭრა.

მინსკი, 2 იანვარი. სადამოს შეიარაღებულმა ბოროტ-გამზრახველებმა მოჰკლეს საქალებო სატუსაღოს მორიგე მეთვალყურე და გაანთავისუფლეს ორი პოლიტიკური დამნაშავე.

მესსინა, 3 იანვარი. მოხდა მიწის ძვრა, რომელმაც 10 წამი გასტანა.

რეჯიო, 3 იანვარი. მიწა იძრა და გასტანა 10 წამი.

რომი, პარლამენტის სესსია 17 იანვარს გაიხსნება.

პეტერბურგი, 3 იანვარი. „ნაროდნოე ხოზიაისტვო“ იუწყება, სოლსკის განსაკუთრებულ საბჭოში თავმჯდომარემ აცნობა კავკასიის დელეგატებს, რომ საკითხი კავკასიის წარმომადგენლების მონაწილეობაზე სათათბიროში საბჭომ ერთხმად გადასწყვიტა და შეუდგა დამატებითი წესების შემუშავებას კავკასიაში არჩევნების წარმოებისას.

ტომსკი, 3 იანვარი. ჯარების უფროსის განკარგულებით „ვესტნიკ სიბირი“ შეჩერებულ იქნა.

ირკუტსკი, 3 იანვარი. გამოიცა დადგენილებანი, რომლებშიაც აკრძალულია ქუჩებსა და კერძო სახლებში ერილობების გამართვა, იარაღის ტარება და შენახვა. თვით-დაცვის ორგანიზაცია უნდა მოსპობილ იქნას.

პეტერბურგი, 3 იანვარი. დღეს, ღამით, დაატუსაღეს მუშათა დეპუტატების საბჭო სავსებით—სულ 22 კაცი. დაიჭირეს მთელი მიწერ-მოწერა და საბუთის ქაღალდები.

პიატიგორსკი, 3 იანვარი. ქალაქში გაკრულია განცხადებები პლასტუნთა ბატალიონის მოსვლის შესახებ. მოელიან სამხედრო წესების შემოღებას.

პენზა, 3 იანვარი. პუშკარსკი ქუჩაზე სამის ტყვიით მოჰკლეს მე-72 ქვევითა დივიზიის უფროსი გენ. ლისოვსკი. მკვლელი ჯერ ვერ აღმოაჩინეს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

29 დეკემბერი.

პეტერბურგი. კრონშტადტსა, ჰელსინგფორსსა და რეველს შორის უმავთულო ტელეგრაფი გაიმართა.

უმაღლეს წრეებში საჭიროდ იქმნა ცნობილი, გადახედონ სასულიერო სასწავლებლების წესდებები. უწ. სინოდს კი ჯერ-ჯერობით არ მიაჩნია მოხერხებულად ამ წესდებათა გადახედვა, რადგანაც მართლმადიდებელთა ეკკლესიის წარმომადგენელთა კრების გამართვა უკვე გადაწყვეტილია და ეს კრება უსათუოდ გადასჭრის სასულიერო სასწავლებლების წესდებებს.

მიტავა, 2 იანვარი. ფრანკბურგში სახაზინო სარაჯე დუქნების განადგურების შემდეგ, მეამბოხენი ორი დღის შემდეგ ისევ დაბრუნდნენ. თან მოიყვანეს აქციზის მოხელე, აიძულეს მას გამოეანგარიშებინა, რამდენი იქმნებოდა ფულად არყის გამყიდავს კასაში და სიკვდილით დაემუქრნენ, უკანასკნელს, მიეცა ყველა 1070 მ. და 72 კ., კასსირმა მისცა ხსენებული ჯამი და მიიღო მეამბოხეთაგან ბარათი სოციალდემოკრატიულ პარტიის მიერ ხელ-მოწერილი.

რიგა, 2 იანვარი. 31 დეკემბერს უცნობებმა მოჰკლეს სუვოროვის ქუჩაზე პავლოგრადის დრაგუნთა პოლკის აფიცერი ხლოდოვსკი.

დონის როსტოვი. 2 იანვარი. სამხედრო წესები გრძელდება. ქალაქი მშვიდათაა გარეგნულად. მეამბოხეთ იჭერენ, ატუსაღებენ, ჰგზავნიან ქალაქიდან. ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში აღმოაჩინეს იარაღისა და სასროლ მასალის საწყობები.

მოსკოვი. 2 იანვარი. გენ.-გუბერნატორმა მოითხოვა ქალაქის მოსამსახურეთა აღმასრულებელ კომიტეტის წევრების სია და ყველა დოკუმენტები, რომელნიც ამტკიცებენ მათს მონაწილეობას გაფიცვაში. მოელიან სასამართლოს გამოძიებას. დღეს გაანთავისუფლეს საერობო ექიმები ნიკიტინი, გლაზკო, პოკალიხინი და დამზღვევ საზოგადოების აგენტი ეგოროვი. მოსკოვი, ეტყობა, ძლიერ უგულოთ ეგიდება არჩევნებს სათათბიროში.

პეტერბურგის ბირჟა 4 იანვარი 1906 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,70
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,70
ბირჟის დისკონტი	5¼---7½
4% სახელმწიფო რენტა	87⅛
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	85,½
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	451½
5% მე-2 შინ. ეს. მომ. ბილ. 1866 წ.	346½
5% გირ. მომ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	280
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
4½% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირვ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ე. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	200

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**.

განცხადებანი

ქართველ მკითხველ მგზავრების საყურადღებოდ

სადგურ მიხაილოვის ბილეთის კასაში იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

1. „ცხოვრება და სიყვარული“, თანამედროვე რომანი 320 გვ., ფასი 40 კაპ.
2. „ვარინკას ამბავი“, თანამედროვე მოთხრობა, 100 გვ. ფასი 20 კაპ.
3. „ოჯახის და საკუთრების წარმოშობა-განვითარება“, პროფეს. კოვალევსკისა, ფასი 20 კაპ.
4. „ლექსები და პოემები“, ჩარხიშვილისა, 120 გვ., ფასი 15 კაპ.
5. „რამდენ მილიონ მანეთს ჰკარგავს იმერეთი სწავლისა და მეურნეობის მოუწყობლობით“, ართმელაძისა, ფასი 10 კაპ.

ვინც ყველას ერთად იყიდის ან გაიწერს, მანეთად დაეთმობა. შეიძლება მარკებითაც და სხვა წიგნებზე გაცვლითაც.

მისამართი: Ст. Михайловъ кассиру Чархишвили. (4—1)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კაპ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაზნასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	—
II და III ტომი თითო	1	—
ილ. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
სოფლის კუნძულ, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—ჰენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფფისა, თარგმანი სომხურიდან გ. ევანგულოვისა	1	—

◆ **კბილებს** ◆

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—23).

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას **სამკურნალო**,

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (წლ.)

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისათვის

უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიენიჭა რუსეთში მხოლოდ ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკის

მანუფაქტურისას

პეტერბურგში,

1860 წელს

ჩვენის კალოშების ძირს დროის, ხოლოვენ ყურადღება მიაქციონ კაძირზე ნიშანს, თოკებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და ხილვას.

„С.-Петербургъ“

წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანი).

ნარდად გაჩნდების აწარმოებს სავაჭრო სახლი

„**ლეოპოლდ ნეიშელლერი**“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ოდესას, ბაქოს და ტფილისში.

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ.“-სა. ვანქის, დიდი ქუჩა. ტელეფონი № 372